



შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ბაზათი №1. იანვარი. 2013.




**კულოცავთ უწმინდესა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, ილია მამორის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან 80 წლისთავს.**  
**უფალმა ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე მოგცეთ ერისა და ქვეყნის მფარველობისა და წარმატებისათვის.**  
**ბაზათი „ბათუმის უნივერსიტეტი“**

# saqarTvel os kaTol ikos-patriarqi uwmindesi da unetaresi il ia II rwmeni sa da codni s erTianobis Sesaxeb

რწმენისა და ცოდნის ერთიანობის საკითხი ყოველთვის იყო კაცობრიობის განათლებული, საუკეთესო წარმომადგენლების კვლევის საგანი. ეს კარგად ჩანს როგორც ისტორიულ, ისე ლიტერატურულ წყაროებში: X საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს, საქართველოს მეფის და განმანათლებლის არჩილ II, ვახტანგ VI, ანტონ კათალიკოსის, გაბრიელ ქიქოძის, ილია ჭავჭავაძის შრომებში. რწმენისა და ცოდნის ერთიანობის იდეით იყო გამსჭვალული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის ცხოვრება და მოღვაწეობა. ილია ჭავჭავაძე მის შესახებ ამბობდა: „ბევრს ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელი და მოუთავსებელი არიან. იგია (გაბრიელ ქიქოძე) მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა. ...ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაენიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება-მეცნიერებისათვის. გაბრიელი მეცნიერებას ასარწმუნოებდა და სარწმუნოებას ამეცნიერებდა“ (ი. ჭავჭავაძე, 1941, 542). გაბრიელ ქიქოძის რწმენისა და ცოდნის ერთიანობის შესანიშნავი მაგალითია მისი ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, რომელიც 1858 წ. პეტერბურგში გამოქვეყნდა“.

რწმენისა და ცოდნის ერთიანობის ასეთი მიდგომა შეწყდა საბჭოთა პერიოდში ათეისტური იდეოლოგიის ბატონობის პერიოდში რწმენისა და ცოდნის ურთიერთშერწყმის იდეა პოსტსაბჭოურ საქართველოში დაკავშირებულია საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის

1997წ. 162). იქვე გულისტკივილით ბრძანებს პატრიარქი, რომ გასულმა საუკუნემ მემკვიდრეობით დაგვიტოვა ახალგაზრდა თაობის ცალმხრივი განათლება, პიროვნებას დაუკარგა ნათელი აზროვნება, სულიერება, ჭეშმარიტი რეალობის შეგრძნების უნარი, მისი სურვილები დავინროვდა და გაუხეშდა, დაირღვა ურთიერ-



ობა მშობლებსა და შვილებს შორის. ახალგაზრდა მოსწყდა ოჯახის კერას, ტრადიციებს და ბედნიერების ძებნა მის გარეშე დაიწყო. საქართველო იქცა ასპარეზად ჩვენთვის უცხო და მიუღებელი იდეოლოგიების, რელიგიების და სექტების თარეშისა.

წარსული ათწლეულების ძირითადი სიმძიმე ეკლესიას და ინტელიგენციას დაანვა, რადგან ისინი განსაზღვრავენ ერის სულიერ და გონებრივ პოტენციალს, შესაბამისად დიდი იყო სურვილი მათი დამონებისა ან განადგურებისა

საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყო. მეცნიერების და მის წარმომადგენელთა სულიერობა იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა — მიგვითითებს უწმინდესი და უნეტარესი. „ღმერთი არს სათავე და მიზეზი ყოვლისა, წყარო სიცოცხლისა, სადაც ცხრება ვნებები, წყნარდება შეურიგებელი, დაპირისპირებული ენერგიები, რადგან შემოქმედისაგან ყველას მიენიჭება მისი კეთილი ადგილი, უფლება და ღირებულება. ჩვენს ცხოვრებაში ღვთის ნება, ღვთის განგებულება გამოვლინდება ჭეშმარიტი რელიგიით — მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით. იმ ეკლესიისა, რომლის შესახებაც მაცხოვარი ბრძანებს: „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინას მას“ (მათ. 16, 18)“ (ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, 1995წ. 162). კითხვაზე — ეყოფა ჩვენს ხალხს ძალა, რომ იპოვოს ტაძრისაკენ მიმავალი გზა? უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს პატრიარქი თვლის, რომ ამ სასიცოცხლო ნაბიჯის გადადგმაში ხალხს დახმარება ჩვენმა მრავალტანჯულმა, მაგრამ სულით გაუტყეხელმა ინტელიგენციამ გაუწიოს. ეს ინტელიგენციის ძირითად მოვალეობად მიაჩნია. „როცა ვუყურებთ წინააღმდეგობებით სავსე ჩვენს აწმყოს და ვცდილობთ დავინახოთ არცთუ ისე დიდი იმედისმომცემი ხვალისდელი დღე, ამკარად იგრძნობა, რომ თუ სულიერების და ინტელექტუალური აზროვნების წარმომადგენლები

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)



**(დასაწყისი პირველ გვერდზე)**

ერთმანეთს არ დაუახლოვდებიან, მსოფლიო დადგება გაუთვალისწინებელი საბედისწერო კატაკლიზმების წინაშე... (კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 1995, 158).

სწორედ ამიტომაც მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა ჩვენი თანამედროვე ცხოვრებითაა ნაკარნახევი. ამის ნათელი დადასტურება იყო 2009 წლის 24 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო ქორთიარტ მარიოტში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - რწმენა და ცოდნა, როგორც მსოფლიო კულტურის საფუძველი (თანამედროვე სამეცნიერო აღმოჩენების ფონზე). კონფერენციას ესწრებოდნენ სასულიერო და საერო წარმომადგენლობითი დელეგაციები მსოფლიო საპატრიარქოდან - ანტიოქიის ეკლესიიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან და სომხეთიდან. ევროკავშირის ექსპერტი გრეგორ მელიერი. კონფერენცია გახსნა საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელმა, ორენბურგისა და ბუზულუტის მიტროპოლიტმა ვალენტინმა. მოხსენებით გამოვიდნენ პოლიტოლოგი ედიშერ ჭელიძე, რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი მიხეილ შვიდკოვი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, არქიმანდრიტი ადამი, მართლმადიდებელი ერების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი, ფილოსოფიის დოქტორი ვალერი ალექსევი, ამერიკელი ბერი სინას მთიდან ჯანსტინ შიქსი, ბიოლოგ-ანთროპოლოგი, დოქტორი გურამ კაციტაძე, გენეტიკოსი ოთარი ლეჟავა, კიბერნეტიკოსი არჩილ ფრანგიშვილი (გაზ. საპატრიარქოს უწყებანი, 5 იანვარი 2009წ).

რწმენისა და ცოდნის ერთიანობას, მეცნიერებისა და რელიგიის დაახლოების პრობლემას ხშირად მიაქცევდა საზოგადოების ყურადღებას თავის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში უწმინდესი და უნეტარესი საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც და თვლიდა, რომ რწმენისა და ცოდნის გაერთიანების საქმეში ინტელიგენცია, მოაზროვნე ფენა, დიდი პოტენციური ძალაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარსული დროის უმძიმეს პერიოდშიც ნერგავდა განათლებისა და სოციალური პროგრესის მაღალ იდეალებს. ცდილობდა მიახლოებოდა ღრმა ფილოსოფიურ საკითხებს და აბსოლუტური ჭეშმარიტების პრობლემას. მაგრამ მას აკლდა ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. პატრიარქის აზრით, ინტელიგენცია მაშინ შეძლებს თავისი ფუნქციის სწორად შესრულებას, როცა ის თავის ცოდნას რწმენას დაუკავშირებს. პატრიარქი იწონებს ქართველ მეცნიერთა სურვილს და მოთხოვნას გელათის აკადემიის, როგორც სამეცნიერო ცენტრის აღდგენის შესახებ. და ისევ ახსენებს საზოგადოებას, რომ დავით მეფის მეცადინეობით აკადემია იქცა ახალ იერუსალიმად და მეორე ათენად, ანუ სულიერობისა და მეცნიერული კვლევის ცენტრად, რითაც მან გააგრძელა კლიმენტი ალექსანდრიელის გზა. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე კლიმენტი ალექსანდრიელს 1995 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ასე ახასიათებს: „II საუკუნის ცნობილი მეცნიერი, კლიმენტი ალექსანდრიელი არის საუკეთესო მაგალითი ცოდნისა და რწმენის შერწყმისა. მას უწოდებდნენ „დაბადებიდან პროფესორს“, „უპირატეს მისიონერს“, „პირველ ქრისტიან მეცნიერს“ .... იგი მღვდელი იყო, მაგრამ მხოლოდ სამოძღვრო საქმიანობით არ იფარგლებოდა. გამორჩეულ სულიერ ცხოვრებასთან ერთად ის გულდასმით სწავლობდა სიბრძნეს. ჰქონდა მჭიდრო კავშირი ალექსანდრიის საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ სკოლებთან. თუ ტერტუ-

ლიანეს დევიზი იყო: „იერუსალიმი და არა ათენა“ — ანუ განმორება მეცნიერებისაგან, კლიმენტი ალექსანდრიელი მთელი თავისი ცხოვრებითა და ნაშრომებით ალიარებად რწმენისა და მეცნიერების სინთეზს—ანუ „იერუსალიმსა და ათენს“. ოღონდ უპირველეს მნიშვნელობას რწმენას ანიჭებდა, შემდეგ კი რწმენაზე აგებულ მეცნიერებას.“ (კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 1995, 162).

პატრიარქი თვლის, რომ ჭეშმარიტი მეცნიერება და ჭეშმარიტი ცოდნა აუცილებლად მიიყვანს ადამიანს ღმერთთან. ცოდნის დაგროვება დაბადებიდანვე იწყება. ჩვილ ასაკშივე ბავშვს ურთიერთობა აქვს მშობლებთან, ახლობლებთან, გარემოსთან, საიდანაც იძენს იგი ე.წ. ემპირიულ ცოდნას. სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერული მოღვაწეობა...

სოვდეს, ჭეშმარიტი ძიება რთული პროცესია: რუდუნებით სავსე, სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური შრომა, რომლისათვის ყრობიდანვე უნდა მოვაზადოთ მომავალი თაობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების რელიგიურ აღზრდას. მათში ნამდვილი ქრისტიანული სულის გაღვივებას—ბრძანებს პატრიარქი (ეპისტოლეები, თბილისი 2012, 353).

სწორედ ამიტომ, რწმენისა და ცოდნის ერთიანობის განხორციელებაში ინტელიგენციასთან ერთად უდიდეს როლს სასულიერო პირთა მოღვაწეობა ანიჭებს. ამის დასტურად 1979 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქს მოყავს II საუკუნის ცნობილი მასწავლებლის და ფილოსოფოსის კლიმენტი ალექსანდრიელის სიტყვები: „არ არსებობს ცოდნა, რომელიც და-

ნიშნულება ამ ქვეყანაზე. პატრიარქი იმონებებს კლიმენტი ალექსანდრიელის შესანიშნავ მოსაზრებას: „უბრალო რწმენა ადამიანს ჰყოფს მონად, ხოლო რწმენა გააზრებული-მეგობრად ღვთისა“ (კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 1997, 162).

კათოლიკოს-პატრიარქი მიგვითითებს, რომ მარტო ცოდნა პიროვნების ფორმირებაში არაა საკმარისი. ის აუცილებლად უნდა ესწრაფოდეს სიკეთის კეთებას, რომ აღასრულოს ღვთის მცნებანი და სასიხარულოა, რომ ინტელიგენციის ნაწილმა ეკლესიაში ჰპოვა ღმერთი და თავისი თავი. ინტელიგენცია რელიგიური დაპირისპირების სამიშროებას აცნობიერებს, რომ „მართლმადიდებლური სარწმუნოების გარეშე ირღვევა საფუძველი ჩვენი კულტურისა, იკარგება ჩვენი ტრადიციები, ჩვენი ეროვნული სახე. ამიტომაც იგი თანდათან აქტიურად ებმება ეკლესიის ცხოვრებაში, მის მეცნიერულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და სხვა საქმიანობაში“ (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1995, 162). სიხარულით აღნიშნავს, რომ ინტელიგენციის იდეით, საქართველოს საპატრიარქოს სულიერი მფარველობით ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია, სადაც რჩეულ აკადემიკოსთა ხელმძღვანელობით დამუშავდა სულიერი თვალთ დანახული თემები. „განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბიბლიოგრაფიას, ღვთისმეტყველებას, ქართველოლოგიურ და ენათმეცნიერულ კვლევას, კულტურული, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთიკური, ისტორიული და სხვა საკითხების გაშუქებას. აქ ერთად იმოღვაწებენ ჩვენი საერო მკვლევარი და სასულიერო პირნი (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997, 163).

გელათის აკადემია — აღნიშნავს პატრიარქი, უნდა იყოს მოწოდებული არა მარტო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, არამედ სულიერი მოღვაწეობისათვისაც. მან უნდა მისცეს ხალხს ცოდნა ადამიანის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობებისა, გაუღვიძოს მას სინანული და განწმენდის სურვილი და მოამზადოს მარადიული ცხოვრებისათვის. წმ. ბასილი წერს: „სული და სხეული და-ძმანი არიან, ღვთის მცნებათა დარღვევა ორივეს ერთნაირად ამძიმებს, მაშ, მოვიწინიოთ, რათა უფლისაგან ცოდვათა შენდობა მივიღოთ და მის წინაშე მაღლი ვპოვოთ (კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 1997, 163).

პატრიარქი მიგვითითებს, რომ სულიერი და ინტელექტუალური ძალების ერთიანობით თავისუფლდება ადამიანი ბოროტი ძალებისაგან.

ქადაგებაში პატრიარქი აღნიშნავს, მარად უნდა გვახსოვდეს, რომ რწმენის გარეშე, ღვთის გარეშე ვერაფერს გააკეთებს ადამიანი. ეს არის მთავარი, უპირველესი. მეორე არის ჩვენი სამშობლო, მესამე-ადამიანის სიცოცხლე. ეს სამი ფასეულობა არის ძირითადი და ამას უნდა გავუფრთხილდე (საპატრიარქოს უწყებანი, 2008, 4).

დასასრულს გვინდა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ პატრიარქის ეპისტოლედან ღრმადი დონის და რიგგება: „სიბრძნე გონებას მჭვრეტელობით უნარს ანიჭებს, მჭვრეტელობით ცოდნა მოიპოვება. ჭეშმარიტი ცოდნით კი ჭეშმარიტებას ვეზიარებით. სიბრძნე არის გონების ძალა და უნარი. თუ გონება ფილოსოფიურია, იგი იწყებს სამყაროს აღქმას რწმენით და ამთავრებს უფრო დიდი და ჭეშმარიტი რწმენით“ (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1995, 164).

# saqar Tvel os kaTol ikos-patriarqi swmi ndesi da unetaresi il ia II rwmenisa da codniser Tianobis Sesaxeb



აფართოებენ და აღრმავებენ პიროვნების თვალსაწიერს, იბადება ახალი იდეები, ჩნდება ახალი სიღრმეები. ცოდნის გაფართოება უნდა გაგრძელდეს. მაგრამ ეს უპირველეს ყოვლისა, უნდა ხდებოდეს ნიგნების კითხვით, თვითანალიზით, დიალოგის გზით და არა ტელევიზიის გადაცემით, — რომლებიც მხოლოდ ზედაპირულ ინფორმაციას გვანდის. იქვე პატრიარქი ბრძანებს „სამწუხაროდ ხდება ისეც, რომ ზოგიერთი მთელი ცხოვრება ეძებს, მაგრამ ვერ იძენს ჭეშმარიტ ცოდნას, ანუ იმ ცოდნას, რომელიც მას ღმერთთან დაახლოებს. მოციქული პავლე ამბობს: „მისი სამსჯავრო უკვე შემდგარია“ არადა, რამდენი ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ ჭეშმარიტებას არ შეხებია; ეს იმიტომ, რომ ან საერთოდ არ ეძებდნენ, ანდა არ ეძებდნენ იქ, სადაც მისი პოვნა შეიძლება“ (ეპისტოლეები, თბილისი 2012, 353). ამის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II თვლის, რომ ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე საიმედო საყრდენი და ორიენტირის არის მართლმადიდებლური სარწმუნოება. „მე ხაზს ვუსვამ მართლმადიდებელ სარწმუნოებას, რადგან სწორედ არასწორი სარწმუნოება ამოიღებს ყველაზე ხშირად ადამიანს ჭეშმარიტებისაგან და საბოლოო ჯამში ღუპავს მას. უნდა გვახ-

კავშირებული არ იყოს რწმენასთან, ისევე როგორც არ არსებობს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ცოდნაზე“ (კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 1997, 160). მკვლევრები ალექსანდრიელის ნაწერებში ხედავენ: წმინდა წერილს, ღვთისმეტყველური გონებით დანახულ და გაანალიზებული ძველ ფილოსოფიას, პირად სულიერ-მისტიკურ მოღვაწეობას.

პატრიარქი აღნიშნავს, რომ კლიმენტი ალექსანდრიელი სახარების თანახმად ქრისტიანებს ორ ჯგუფად ყოფს: 1. მონანი ღვთისა, ესენი არიან რწმენის შესახებ პრიმიტიული ცოდნის მქონე მორწმუნენი, რომელნიც მარტივად განიხილავენ წმიდა წერილს, არ უღრმავდებიან მის საკრალურ აზრს და კმაყოფილდებიან იგავთა და სიმბოლოთა პირდაპირი გაგებით. მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან გნოსტიკოსები-მეცნიერები, რომელნიც რწმენითა და ცოდნის წყალობით ადიან მაღალი სულიერი და მისტიკური ჭვრეტის საფეხურზე. მათ ღირსეული მამა უფლის მეგობრებს უწოდებს (კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 1995, 161). პატრიარქი მიგვითითებს, რომ ადამიანმა უნდა განვიდოს სრულყოფის გზა ღვთის მონობიდან ღვთის მეგობრობამდე თუ სურს გაცნობიეროს თავისი ნამდვილი ადგილი და და-

რსუ—ს განათლების ფაკულტეტის სრული პროფესორი ლელა თავაძგირიძე

# გულთა ცაძარი კოთისა

უნმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეთა ორტომეული სიბრძნის წიგნებია, რომელიც სამყაროს სარკედ იქცა და გულდასმით შესწავლას, გააზრებას და ცხოვრების წესად ქცევას ექვემდებარება, მით უმეტეს, რომ ქართული ეროვნული ცნობიერების საფუძვლების ძიებას ქრისტიანობისა და ფილოსოფიის სათავეებთან მივყავართ. წმინდა მამების თეოლოგია ხომ რელიგიებთან და ფილოსოფიურ სისტემებთან უშუალო თუ ირიბი დიალოგის ნაყოფია. მართლმადიდებლობის პოზიცია, მიუხედავად სხვა რელიგიების მიმართ შესაძლებელი კრიტიკული დამოკიდებულებისა ყოველთვის არის ქრისტეს მაგალითის მიხედვით მხოლოდ პატივისცემა და სიყვარული, რადგანაც სიყვარული არის ერთიანობის, მთლიანობის დაუოკებელი სურვილი და მისდამი სწრაფვა (პლატონი), ვინაიდან ადამიანი ღვთის ხატად რჩება და მისგან განუყრელი თავისუფალი ნება, სულიერი გონი, სიყვარულის სურვილი და შესაძლებლობა.

უნმინდესის მოსაზრებით „საღვთისმეტყველო, განათლებისა და სულიერი წინსვლის მისაღწევად დიდმნიშვნელოვანია წმინდა მამათა: იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის, ეფრემ ასურის, იოანე დამასკელის, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელის, გრიგოლ ხანძთელის... და ყოველთა სხვათა დიდთა მოძღვართა ცხოვრებისა და შრომების შესწავლა... წმიდა მამათა სწავლანი მიზნად ისახავს ადამიანის ღმერთთან დაახლოებას, ნეტარებასა და წარუვალ სიხარულს.“

საქართველოს მომავალზე ფიქრს უნმინდესი უპირველესად განათლების და ცოდნის პრობლემებით იწყებს და სამართლიანად მიიჩნევს როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებლებისათვის ღრმა აზროვნების კურსის შედგენას. იუნესკოს გადაწყვეტილებით უკვე რამდენიმე წელია ფილოსოფია საშუალო სკოლაში აუცილებელ სასწავლო საგნად გამოცხადდა, წარმატებით დაინერგა და ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც გრძელდება.

ფიქრობთ, ეს პრობლემა ჩვენი საგანმანათლებლო სივრცისათვისაც მნიშვნელოვანია და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული, სისტემური და სალი აზროვნების განვითარებას.

უნმინდესის მიერ ზემოთ გაცხადებული ღრმა აზრის კურსი სწორედ რომ სალი აზრის იდენტურია და ნიშნავს:

- სულის აქტიურ მდგომარეობას;
- მოქმედებისათვის მუდმივ მზადყოფნას;
- ინერციას ინტელექტუალური საქმიანობისათვის;
- მსხვერპლთშენიერებას მყარი შეხედულებებისა და მზა გადაწყვეტილებების დასაძლევად;
- სწორი არჩევანისა და სასარგებლო გადაწყვეტილების საფუძველს;
- თვისობრივ გრძნობას ადამიანური ურთიერთობებისათვის;
- შიშის დაძლევის;
- სალი აზრი პრაქტიკულ ცხოვრებაში იგივეა, რაც გენია მეცნიერებასა და ხელოვნებაში (ა. ბერგსონი)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი რომელიც უაღრესად აქტუალურია თანამედროვე ევროპულ საგანმანათლებ-

ლო სივრცეში, საქართველოში წარმატებით იყო გადაწყვეტილი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში. კოტე ბაქრაძის მიერ გამოცემული ლოგიკის სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასისათვის 1953 წელს ამის ნათელი დასტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ წარსულის ხელაღებით უარყოფას არასოდეს მოაქვს სასიკეთო შედეგი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე განათლებას ეხება. იქნებ პატრიარქის მონოდებას მაინც დავუგდოთ ყური?

ეპისტოლეთა ანალიზი ცხადად აჩვენებს უნმინდესის ბრძნულ დამოკიდებულებას განათლების ფილოსოფიური პრობლემებისადმი. იგი პასუხია განათლების ოთხი ღერძის-აღქმა, შემეცნება, სწავლა კეთებით, ურთიერთობების სწავლა - აუცილებლობაზე და იმ ზნეობრივ გარდაქმნებზე, რომელიც უნდა განხორციელდეს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში.

ილია მეორე ეპისტოლეებში ხშირად მიმართავს ფილოსოფოსთა ნააზრევს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამჯერად ჩინელი ფილოსოფოსის ლე-ცზის ნაშრომის იმ ამონარიდს გვთავაზობს, რომელიც ზუსტად ეხმიანება განათლების წინაშე მდგომ თანამედროვე პრობლემებს.

„მასწავლებელი თავის მონაფეს მშვილდის სროლაში ავარჯიშებდა. მონაფემ მიზანს მოახვედრა და მასწავლებელს სთხოვა, ახლა სხვა დავალება მიეცა მისთვის. მან ჰკითხა: იცი კი შენ რატომ მოახვედრე მიზანში? ყმანვილმა უპასუხა: არა. მაშინ მასწავლებელმა მიუგო: ესე იგი, ეს ხელობა შენ ჯერ კიდევ არ იცი.“

მოსწავლე სახლში დაბრუნდა და სამი წელი თავდაუზოგავად მეცადინეობდა. შემდეგ კვლავ მივიდა პედაგოგთან და უჩვენა თავისი შესაძლებლობები. ხოლო როდესაც მან იგივე კითხვა გაუმეორა, უყოყმანოდ უპასუხა: „ვიცი“.

მასწავლებელმა დიდად გაიხარა და უთხრა: „აი, ახლა კი ნამდვილი ოსტატი ხარ. გაუფრთხილდი შენს შესაძლებლობებს და არ დაკარგო იგი. ცხოვრების ასეთი წესი დაგეხმარება არა მარტო მშვილდის სროლაში, არამედ სახელმწიფოს მართვაშიც და შენს თავზე მუშაობის დროსაც, რადგან ბრძენი არა სიცოცხლეს ან სიკვდილს იძიებს, არამედ მათ მიზეზებს“. ასე ეხმიანება პატრიარქი განათლების წინაშე მდგომ ამოცანებს და მისი გადაწყვეტის ოპტიმალურ ვარიანტსაც გვთავაზობს.

მნიშვნელოვანია უნმინდესის დამოკიდებულება ზნეობრივი აღზრდისადმი. სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში იკითხება საგანი, რომელსაც „ზნეობრივი ღვთისმეტყველება“ ეწოდება. თუ ღვთისმეტყველება ჯერ კიდევ მიუღებელია ჩვენს სკოლებში, ზნეობა ხომ აუცილებელია, საგანს დავარქვათ „ზნეობრივი კულტურა“ და შევიტანოთ იგი სკოლის პროგრამაში - წერს პატრიარქი.

ცოტა მოგვიანებით კი უნმინდესი აღნიშნავს, რომ განათლების სრულყოფისათვის აუცილებელია სკოლაში ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და ლოგიკის შესწავლა. განსაკუთრებით მომხიბლავი პოზიციიდან გვაცნობს შოტლანდიელი ფილოსოფოსის ბიატას დამოკიდებულებას აღზრდისადმი, კონკრეტულად კი ღვთის სიყვარულის ბავშვობი-



ენა“, რომელ ენაზეც სამწუხაროდ ლამის ნახევარი საქართველო საუბრობს.

ცხადია, საზოგადოების, სახელმწიფოსა და ცალკეული პიროვნების კულტურა განსაზღვრავს კაცობრიობის მომავალს.

„სიტყვა კულტურა საზოგადოებრივ მეცნიერებათა, და განსაკუთრებით ისტორიაში, ორი აზრით იხმარება. პირვე-

ლის მიხედვით კულტურაში უმთავრესად იგულისხმება განათლება... კულტურს მეორე, გაცილებით ფართო გაგებას სძენს ყოფის მნიშვნელობა, ანუ შინაგანი მდგომარეობა. კულტურას ასე გამოყოფენ: მატერიალური... და სულიერი. მასში შედის: რელიგია, ენა, ჩვეულებანი, ზნეობა, ცოდნა, ლიტერატურა, ხელოვნება... და საზოგადოებრივი ფორმები და კანონები“. ასეთი განმარტების შემდეგ უნმინდესი სვამს კითხვას:

-განა კულტურული შეიძლება ენოდოს პიროვნებას, რომელსაც შეუძლია სხვას ზიანი მოუტანოს? რომელმაც ცოდნა იმისათვის შეიძინა, რომ კარგად დაწეროს ცილისმწამებლური, ანონიმური წერილები, რომ უფრო მოხერხებულად დაუგოს მახე მოყვასს, დასცინოს და შეურაცხყოს იგი?

ასეთი კაცი თავის ვინაშე ეგოიზმშია ჩაკეტილი, უსაზღვროა სიმდიდრისადმი მისი ლტოლვა... არასწორი გზით მოიპოვა მაღალი სამსახურეობრივი

მდგომარეობა... ატყუებს ხალხს... ასეთი ადამიანი შორსაა არა მარტო ღვთისა და რწმენისაგან, არამედ ყოველგვარი კულტურისაგან - წერს პატრიარქი. ეს განაცხადი აუცილებლად ჩააფიქრებს იმ ადამიანებს, რომლებმაც ასეთი ცხოვრების გზა აირჩიეს, მონანიება კი არასოდეს არ არის გვიანი. რამდენი სამართლიანი კაცის სიცოცხლეც შეინირა უსამართლო ბრალდებებმა, ცილისმწამებლურმა განცხადებებმა? დროა შეეჩერდეთ, ვისწავლოთ ურთერთობის კულტურა, გავითვალისწინოთ რომ ეს განათლების ერთ-ერთი მთავარი ღერძია.

რაც შეეხება აღქმას, პატრიარქი პირდაპირ მიუთითებს, რომ „წლების მანძილზე განათლებულობით ვამაყობდით, არადა გვაქვს მხოლოდ ზერეულე ცოდნა და, აქედან გამომდინარე, ზერეულე აღქმა საგნებისა და გარემო სამყაროსი“, ცხადია, ამ სიტყვებით გაცხადდა საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმის ის მიმართულება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მოზარდის შესაძლებლობების და შინაგანი განვითარების პოტენციალის გამოვლენას, რომ არ შევზღუდოთ, ღვთის მიერ კაცისთვის მონიჭებული თავისუფალი ნება, რომლის გარეშე როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ისე სულიერი წინსვლა ვერ განხორციელდება.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)



(დასაწყისი მე-3 გვერდზე)

ფილოსოფიის ახალი დარგის — „განათლების ფილოსოფიის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ცოდნასა და განათლებას შორის მიმართების დადგენა. ეს თემა განსაზღვრავს არსებით სხვაობას ტრადიციულ და თანამედროვე განათლებას შორის, ასაბუთებს საგანმანათლებლო სივრცეში ინოვაციების აუცილებლობას, გვარნმუნებს რომ ბავშვი არ არის ის ქვევრი, რომელიც ცოდნით უნდა ავაკოსოთ, არამედ გამოვავლინოთ თითოეულ „მოსწავლეში ჩადებული რაღაც განსაკუთრებული ნიჭი და უნარი“. უწმინდესი წერს:

...ვერ ვხედავთ ზღვარს ცოდნასა და განათლებას შორის, ვერ ვგრძნობთ, რომ განათლება უფრო მეტის მომცემია ვიდრე ცოდნა, ამიტომაც ვერც ერთი მცოდნე ადამიანი განათლებულად ვერ ჩაითვლება. განათლება, ინტელექტი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მაღალ ზნეობას, რწმენას, სიყვარულს, სულიერებას. სენი, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას თითქმის ყველა ფენას ახასიათებს, არის დაბალი სულიერება“. ვფიქრობთ, ეს სენი ყველაზე მომაკვდინებელია ერისათვის და სულიერების ამაღლება უპირველესად წიგნიერებით უნდა დავინყოთ. პატრიარქს ამ კითხვაზეც აქვს პასუხი და აცხადებს, რომ „წიგნები უნდა შედგებოდეს კანონებისა და ღრმა აბსტრაქტული აზროვნების შემცველი მაგალითებისაგან, რათქმა უნდა გამოყენებული უნდა იყოს ღვთის მეტყველება, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია, ლიტერატურა, ისტორია და სხვა დისციპლინები.

პატრიარქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანისა და ხელოვნების ურთიერთობის და მშვენიერების პრობლემისადმი დამოკიდებულებებს. თვლის, რომ ადამიანში მშვენიერების აღქმისა და შექმნის უნარების განვითარება დიდად შეუწყობს ხელს ადამიანის გაკეთილშობილებას.

# გული ცაძარია ღვთისა



„სკოლებში აუცილებელია ესთეტიკური კურსის შეტანა, ხალხში თანდათან იკარგება სილამაზის გრძობაც. ადამიანი იმდენად გაუხეშდა, რომ აღარც ბუნების აღქმის უნარი აქვს, არც მუსიკის განცდისა, კულტურა სულიერებისაგან დაიშრიტა, უღვთო და უსულიო გახდა, ხელოვნება, რომელმაც უნდა აღზარდოს ადამიანები და სულიერი ამაღლებისა და ზნეობრივი სრულყოფის კიბეზე აიყვანოს ისინი, უშინაარსო გასართობად იქცა“

პატრიარქის ამ ციტატაში არა მხოლოდ ადამიანის, არამედ ხელოვნების კრიზისი ჩანს. ეს ცალკე თემაა და წინამდებარე სტატიაში მის ახსნას აღარ შეუდგებით, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით თემას: **-საიდან და როგორ დავინყოთ აღზრდა?**

**პატრიარქი ამ კითხვას ასე პასუხობს:**

**სოხს:** ცნობილი მეცნიერები, ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები, ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ამ საქმეს ბავშვის დაბადების პირველი დღიდანვე უნდა შევუდგეთ. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია ცოდნის მიცემასთან ერთად გრძობათა აღზრდაზეც ვიზრუნოთ. ამ ციტატით პატრიარქი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის აუცილებლობას, რაც დღის წესრიგში სვამს ხელოვნების პედაგოგების საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება-განხორციელებას, რაც საშურ საქმედ მიგვაჩნია და აუცილებლად უნდა შეიქმნას პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტში პედაგოგთა და ხელოვნათა ჯგუფი, რომელიც თავს გაართმევს ამ საშვილიშვილო საქმეს. იქნებ პატრიარქის სიტყვამ მოგვეცეს ის ძალა და ენერ-

გია, რაც ამ პრობლემების მოგვარებისათვის არის საჭირო.

ეპისტოლეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ახალი სამეცნიერო თეორიასა და ლიტერატურაში „გულის კულტურის“ ცნების დამკვიდრებაა. პატრიარქის განმარტებით გული არის ადამიანის სულიერი და ხორციელი სიცოცხლის შეერთების ადგილი, აქედან მომდინარეობს კეთილი და ბოროტი ზრახვანი და ქმედებანი. აქ ხდება ყოველივე ამის სამართლიანი ან უსამართლო განსჯა, რაც შემდეგ ჩვენს მოქმედებაში ვლინდება. გული არის ცენტრი მრავალგვარი სულიერი გრძობისა, სხვადასხვა განცდისა, ცხოველური ვნებისა. ასე რომ, გულში ყალიბდება და მნიშვნელოვან პიროვნების ზნეობრივი საფუძველები, რომელნიც შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში იჩენს თავს ასეთი საინტერესო განმარტების შემდეგ პატრიარქი სვამს კითხვას:

**-როგორ მოვიპოვოთ გულის გასაღები?**

**პასუხი:** „მშობლებმა თუ მასწავლებლებმა, უპირველეს ყოვლისა, მსმენელთა სიყვარული უნდა დაიმსახურონ და გასაღებიც მათ ხელში იქნება“ - წერს პატრიარქი და აგრძელებს აზრს, რომ „ჰარმონიული შერწყმა გონებისა და გულის შესაძლებლობებისა ეხმარება ადამიანს სულიერ, ინტელექტუალურსა და კულტურულ სრულყოფაში, თავის შეცნობაში. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის შესწავლას. ბიბლია ერთადერთი წიგნია კაცობრიობისა... ხსნის ჩვენი სულის უფაქიზეს შრეებს, თვალნათლივ გვიჩვენებს შედეგს ცოდვისა და ბოროტებისა, შედეგს სიყვარულისა და სიკეთისა, გვიჩვენებს მარადიულ და წარმავალ ღირებულებებს“.

და მართლაც რა მშვენიერი იქნება ცხოვრება პატრიარქის მოსმენას გულით თუ შევძლებთ...

**გული შირვაშიძე**

# წ მ თ ლ ო ს ღ ე მ მ

**ნათლისღება** - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელილო და წყალი ხრწნილები-საგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევა მოეწიებინა ჩვენთვის. მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სინმიდე ან, როგორც უცოდველი, განწმედას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელილო ჩვენი შეწვევისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა. ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს. განა ეს საკვირველია? — უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიზრქეში შედის, ყველაფე-

რი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუკი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შედწვევისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა გასაკვირია, რომ სულიწმიდა სულის სიღრმეში აღწევდეს? (კირილე იერუსალიმელი). ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება — ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ“.



**ტროპარი:** რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გენამებოდა, და საყვარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა. **კონდაკი:** განცხადე დღეს ყოველსა სოფელსა და ნათელი შენი უფალო ან მოისახა ჩუენ ზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა და განსცხადენ ნათელიო შეუხებელიო. **ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მადლი ეძლევა და, ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში შეინახოთ და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღოთ.**



სატელევიზიო პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული ბათუმელი ლუკა ზაქარიაძე გახდა. იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტია.

# „ჩემი ჯადოქარი ჩემი სულის ნაწილია“

## სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტი ლუკა ზაქარიაძე „საქართველოს ვარსკვლავია“



— ლუკა, რამ გადაგანწყვეტინათ პროექტში მონაწილეობის მიღება?

— რა ვიცი, გათენდა და გადავწყვიტე.

— შესარჩევ დღეს როგორ გაიხსენებთ?

— ეს იყო ემოციებით სავსე დღე. არ ვნერვიულობდი საერთოდ. ვიტყვი, რომ ეს ერთ-ერთი კარგი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

— პირველი საკონკურსო დღე...

— ცოტას ვნერვიულობდი, მინდოდა პროექტში დარჩენილიყო, რადგან ბევრი რამ შემეძლო. მოკლედ ვიტყვი, რომ კარგი დღე იყო, გამიხარდა შემდეგ ტურში გადასვლა.

— ჟიურის წევრებიდან გამოარჩევდით რომელიმეს?

— სამივეს გამოვარჩევდი, რადგან ყველანი ნამდვილად კარგი ადამიანები არიან.

— კონკურსანტების შესახებ რას იტყვით?

— ჩემი მეგობრები არიან.

— რომელიმე კონკურსანტს ხომ არ გამოარჩევდით?

— მე? რითი უნდა გამოვარჩიო... მე არ მეხება!

— როგორ შეაფასებთ დღეს უკვე საქართველოს ვარსკვლავი ლუკა ზაქარიაძე პროექტ „საქართველოს ვარსკვლავს“?

— პროექტი „საქართველოს ვარსკვლავი“ არის ძალიან მაგარი პროექტი.

— ნიკოლოზ რაჭველმა თქვენ განსაკუთრებულად შეაფასათ. თქვენი ემოცია როგორი იყო ამ დროს?

— არ მაქვს ასეთ შეფასებებზე ემოცია.

— თქვენი ჟანრული თავისებურება სცენაზე გამოიკვეთა, მაგრამ პირადად თქვენ რომელს გამოარჩევდით?

— როკს.

— რატომ როკი?

— იმიტომ რომ ჩემ თავს იქ უფრო ვხედავ და უფრო ახლოს არის ჩემთან.

— როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

— თენდება, რაღაცებს ვაკეთებ და მერე ღამდება.

— რამდენადაც ვიცით, სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტი ხართ. სამომავლოდ რომელ სფეროში უფრო ხედავთ თავს?

— რა ვიცი... როგორც დალაგდება ცხოვრება, ყველაფერი ისე იქნება. მე ალბათ უფრო მუსიკას მივყვები.

— პროექტის დასრულების შემდეგ კონკრეტული შემოთავაზებები ხომ არ გქონიათ?

— არა.

— რას ეტყვიტ მკითხველს — ჩვენ უნივერსიტეტის სტუდენტებს, თანაქალაქებს, პროფესორ-მასწავლებლებს?

— ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს. ჩემი ქალაქი ჩემი სულის ნაწილია და ეს ხალხიც ჩემი სულის ნაწილია. თითოეულს ინდივიდუალურად ვერაფერს ვეტყვი, შეძლებისდაგვარად და თავისებურად ყველა ძალიან მიყვარს.

— გმადლობთ, გისურვებთ შემდგომ წარმატებებს!!!

# „ძღუნი და სუმიოჭენ მოძავალი იუბისცუბი“



2012 წლის 28 დეკემბერს სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებმა უნივერსიტეტის სააქტი დარბაზში შეხვედრა მოაწყვეს სახელწოდებით „ძღუნი და სუმიოჭენ მოძავალი იუბისცუბი“. საღამოს პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. როგორც აღმოჩნდა, მომავალი იუბისცუბი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული არიან. ცეკვა, თამაში და დახვეწილი იუმორი — ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაც სტუდენტების მხრიდან სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა. მესამე კურსის სტუდენტმა მაკა დოლიძემ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანს და სამართალმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ლექსები მიუძღვნა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

### აღამ მახარაძეს!

მე შევეცდები კურსის სათქმელი მუზისგან ნაშობ ბგერებით გამცნოთ, სემინარს იბარებთ მხოლოდ ფაქტებით, ტრიბუნის შემდეგ მუხლებს ველარ ვგრძნობთ...

ვაკვალიფიცირებთ დანაშაულებს, ჩამოვთვლით ყველა არსებით ნიშანს... ხან კი მოგვიტანთ ისეთ კაზუსებს, ქურდობა ძარცვისგან ვერ გაგვიმიჯნავს!

გვიყვარს თქვენი მშვიდი ბუნება, თქვენი უსაზღვროდ კეთილი გული, გაქვთ ტარიელთან ყოფნის უფლება, როგორც უფლება აქცესორული...

დეკანის გრაფიკმა მოგწყვიტათ კაბინეტს და სანთლით საძებნ ლექტორად გაქციათ, მუდამ გზაში ხართ ანდა თათბირზე, მოდით და მიეცით კვალიფიკაცია!

პატივისცემითა და სიყვარულით: **მაკა დოლიძე, 2012 წელი.**

### მურმან გორგოშაძეს!

დიდხანს ვიფიქრე როგორ დამენყო თქვენთვის მოძღვნილი პირველი ლექსი, ვაი, თუ ფრიალზე ქულა არ მეყოს, წინ თქვენი საგნის გამოცდა მელის...

ხუმრობანარეც სტროფებითაც კი თქვენს დიდ იუმორს ვერ შევედრები, ისე, სტუდენტებს კითხვა გვაქვს ერთი: იმ თქვენს პროექტორს რით ვერ ელევით?



ან არ მოგწყინდათ სულ პულტის ძებნა? ინგაც გაგვიხდა ამდენი რბენით, ჩვენს სამსახურში ყოველთვის, ყველგან გადაიქანცა ცხრილების ბეჭდვით...

ლექციის კითხვის უბადლო ნიჭი თქვენს იუმორთან სინთეზირდება, ისეთი დონის ხუმრობებს იტყვით, ერთი წლის თავზე კურსი ძლივს ხვდება...



გავა წლები და ჩვენ გაგიხსენებთ, დრონი ვერ წაშლის ჩვენში თქვენს ტესტებს! რა დაგვაგვიწყებს ჩამქრალ იმედებს და ასე მტანჯველ საგამოცდო ცენტრს?!

რა დაგვაგვიწყებს ფერად სლაიდებს და ტევად ჟურნალს არებით სავსეს? თქვენს მცდელობებს რომ გამოგვაფხიზლებთ, თუმც მხოლოდ ცალმხრივ მსჯელობებს აღწევთ...

თქვენთვის უნაკლო კითხვა ისაა, შუა ლექციაზე ფიქრს რომ აგიშლით, აღფრთოვანდებით: კარგი კითხვაა, თუმც გიპასუხებთ შემდეგ სლაიდში...

პატივისცემითა და სიყვარულით: **მაკა დოლიძე, 2012 წელი.**



საერთაშორისო ტურისტულ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებულია ტერმინი „კულტურული ტურიზმი“, რომელიც უახლოეს წარსულში აღინიშნებოდა „შემეცნებითი ტურიზმის“ სახელწოდებით.

კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის, ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის.

კულტურული ტურიზმის პროგრამას ორი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს: ა) კულტურული ტურიზმის ეკონომიკა (ბაზრის შესწავლა, დაგეგმვა, ანალიზი) და ბ) შინაარსობრიობა (შემეცნებითი მოგზაურობებისათვის ფორმების, თემატიკის, საგზაო მარშრუტების და ექსკურსიების შედგენა).

ტურისტული პროდუქტის კონკურენტუნარიანობა პირდაპირ პროპორციულადაა დამოკიდებული საჩვენებელი ობიექტის ღირებულებაზე და იმ ინფრასტრუქტურაზე, რაც უმრავლეს შემთხვევაში ძეგლების, როგორც მთავარი საჩვენებელი ობიექტის გარშემო არსებობს.

საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარება უნდა დაიგეგმოს ისტორიული ძეგლების, ისტორიული ღირებულებებისა და მათ გარშემო არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, საქართველოში ტურიზმის სახეობის განვითარების მხრივ, კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. მიუხედავად საქართველოში ძეგლთა სიმრავლისა და მოვლა-პატრონობის მცდელობისა, ძალიან ბევრი ძეგლი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოვლილი, რათა შექნერდეს მათი განადგურება და ისინი წარდგინდნ სრულმნიშვნელოვანი სახით დამთავალიერებელთა წინაშე.

# kul turul i turizmi s ganvi Tarebis Roni sZiebebi saqarTvel oSi



აღინიშნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ტურიზმისათვის კულტურულ ღირსეობათა ბაზარი იზრდება და ფართოვდება. იგი მოიცავს საერთაშორისო ფესტივალებს, ხელოვნების ნიმუშების გამოფენას, რაც ტურისტულმა ორგანიზაციებმა კულტურის სამინისტროსთან მჭიდრო კავშირში უნდა განახორციელონ.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კულტურულ სანახაობათა ტურების ორგანიზატორებს: მუზეუმებს, ძეგლებს, თეატრებს.

თავის მხრივ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შემდეგში ხელს შეუწყობენ

კულტურული მემკვიდრეობის შენახვას და თაობებისათვის გადაცემას.

ასეთივე მიდგომა სჭირდება დაცულ ტერიტორიებს და ეროვნულ პარკებს, სადაც ტურიზმისათვის უნდა გამოიყოს ტერიტორიები (სასეირნო და საჯირითო ბილიკები). კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ტრანსპორტის შევსება, შავ ზღვაზე კრუიზების განახლება და სხვა.

საქართველოს მსხვილ ქალაქებში და კულტურულ ცენტრებში საქალაქო ტურიზმის დამკვიდრების მიზნით, აუცილებელია სასტუმრო ქსელების გაფართოება.

კულტურული ტურიზმისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ფართო მოცულობის შემეცნებითი ტურების ორგანიზება. ამ მიზნით, უნდა მოხდეს საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან სომხეთთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან და თურქეთთან ერთობლივი მარკეტინგული კვლევების ჩატარება.

კულტურული ტურიზმის განვითარებაში სახელმწიფოს ხელშეწყობა უნდა მოხდეს, მიზნობრივი რეკლამისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენების გზით.

ამ მიზნით ძირითად პოტენციურ ბაზარზე უნდა გაფართოვდეს, საქართველოს როგორც ტურისტული ქვეყნის გაცნობიერების საკითხი. რაც ხელმიუწვდომელია კერძო სექტორისათვის.

საქართველოს ტურისტული ბაზრის რეკლამირებისათვის აუცილებელია:

ა) მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობებსა და გამოფენებზე;

ბ) უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში მონახვა;


გ) უცხოურ პრესაში და ინტერნეტის ქსელში საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე ინფორმაციის გავრცელება;

დ) საერთაშორისო და ადგილობრივი თემატური კონფერენციების ორგანიზება და სხვა.

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა შემუშავა და გაანალიზა საქართველოში ტრადიციულად არსებული შემეცნებითი ტურისტული მარშრუტები, რომელთა შედგენის პრინციპები და ტურისტთა მოგზაურობების მოტივაციები, სადღეისოდ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არსებული მოთხოვნილებაა, რის შედეგადაც განისაზღვრა იმ უმნიშვნელოვანესი ძეგლების ნუსხა, რომლებიც შედის ტურისტულ მარშრუტებში.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უმნიშვნელოვანესი ძეგლები შეადგენენ კულტურული ტურიზმის უმთავრეს საფუძველს. თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობა აიყვანოს უმაღლეს დონეზე, რაც საფუძვლიანი წინაპირობაა საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარების საქმეში.

**ემზარ მაპარაძე**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



## mozrvari

ამ ქვეყნად ყველა ადამიანს თავისი სათეს-სამკალი გააჩნია და საამაყოც. ამ ქვეყნის მთავარ წესს სიცოცხლის წინაშე ღირსეულად ვალის მოხდა წარმოადგენს. ბრძენს უთქვამს: „რასაც დასთეს, იმას მოიმიკიო.“ ხე ნაყოფით იზომება, ადამიანი კი სულმდიდრად გატარებული ცხოვრების წლებით, ცხოვრება — შედეგებით. ამ მხრივ ძალიან ბევრი აქვს საამაყო ჩვენს შორის ადამიანური უბრალოებით, ზნეობით და შრომისმოყვარეობით გათვალისწინებული პიროვნებას, ბატონ ნოდარ თვედორეს ძე კოსტავას, რომელიც აგერ უკვე 8 ათეული წელია მუხლჩაუხრელად შრომობს და ბრძოლობს ამ ქვეყნად სიკეთის გამარჯვებისთვის. ამას ჩვენს მიერ გადაფურცლული მისი ცხოვრების კალენდარი ამბობს. იგი დაიბადა 1933 წლის 1 იანვარს გურიის ერთ ღამაზე სოფელ ბახვში. 1941—1945 წწ. სწავლობდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის საშუალო სკოლაში. 1952—1956 წწ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა—მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. 1952—1956 წწ. მუშაობდა ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვის საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. და მაინც, ბატონი ნოდარის პიროვნული სრულყოფა, დაოსტა-

ტება და საზოგადოებაში წარმოჩენა განაპირობა საქართველოს საზოგადოება „ცოდნასთან“ არსებულ პლანეტარიუმში გატარებულმა 35-წლიანმა დაუღალავმა შრომამ. მან 1959 წლიდან რთული ცხოვრების გზა განვლო, რიგითი ლაბორანტიდან სამეცნიერო ტექნიკური განყოფილების გამგემდე. 1982 წლის 9 თებერვლის გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარა—ს“ ფურცლებზე, მის შესახებ ვკითხულობთ: სადემონსტრაციო დარბაზში თანდათან ქრება სინათლე, სიჩუმეში, ნახევარსფეროსებურ გუმბათზე ნელ—ნელა ჩნდება ვარსკვლავები და პლანეტები. პანორამას აცისკროვნებს ამომავალი მზის სინათლე. ლექტორი იწყებს მიმზიდველ საუბარს სამყაროს უსასრულობა-სა და მისი საიდუმლოებების შესახებ, ახლანდელი და მომავალი საპლანეტაშორისო მოგზაურობის და პირველი კოსმონავტების შესახებ. ასე იწყება ნოდარ კოსტავას ჩვეულებრივი სამუშაო დღე ბათუმის პლანეტარიუმში. მისი მუდმივი მსმენელები არიან ბათუმისა და მისი შემოგარენი სოფლების სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ბათუმში ჩამოსული ტურისტები, რომელთა რაოდენობა ყოველ წელს რამდენიმე ათასს ადამიანს აღწევს. ისინი ამდიდრებენ თავიანთ ცოდნას ასტრონომიაში, ფიზიკა—მათემატიკასა და გეოგრაფიაში, გეოლოგიაში და ბიოლოგიაში. სალექციო თემატიკა მრავალფეროვანია, ეს არის „მზე და პლანეტა სამყარო“, „მსოფლიო ოკეანე და მისი სიმდიდრე“, უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები და ა. შ. სულ 80 თემა. ყოველ წელს 2 ათასამდე ლექცია ტარდება, აქედან ნახევარი გამსვლელი ლექციები ტარდება მთიანი აჭარის და მთლიანად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში. ლექციის ჩატარების პროცესში, ლექტორის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს სხვადასხვა სისტემის სპეციალური სადემონსტრაციო აპარატურა, თავისი თვალსაჩინოებით. ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით

მოძღვარი არის არაერთი წერილისა თუ სტატიის ავტორი. სანიმუშო ლექციების ჩატარებისთვის იგი არაერთხელ არის დაჯილდოებული საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ნოდარ კოსტავას სადაც კი უღვანია, ყველგან ხალხის სითბო და სიყვარული დაუშვასაზურება.

1996 წლიდან ბატონი ნოდარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს, ჯერ რიგით კომენდანტად, ხოლო 2006 წლიდან მატერიალური რესურსების მართვის სამეურნეო ნაწილის კომენდანტად. უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ალ. ბაკურიძის 2010 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებით ნოდარ კოსტავა უნივერსიტეტისთვის განუხლები მზრუნველობისთვის დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

ბატონი ნოდარი ქართულ ტრადიციებზე დამკვიდრებული შესანიშნავი ოჯახის პატრონია. მისი მეუღლე, ულამაზესი ქალბატონი ლიზა მალაზონია 40 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. უდიდესია მისი დამსახურება ბიბლიოგრაფიის განყოფილების დაფუძნება-განვითარებაში, რომელსაც იგი დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ბატონი ნოდარი ამყობს თავისი შთამომავლებით. იგი 2 შვილის, 4 შვილიშვილის და 4 შვილთაშვილის ბაბუაა.

დიდ ვაჟას უთქვამს: „მჩატე თავთავი თავს ზევით აწევს, მწიფე ყოველთვის თავდახრილია“. ბატონი ნოდარის პიროვნული თვისებებიდან ყველაზე დიდად დასაფასებელია სწორედ თავმდაბლობა, უბრალოება და ადამიანური სითბო.

ბატონი ნოდარ! უნივერსიტეტი გილოცავთ ღირსეულად გატარებულ 80 წლის იუბილეს და გისურვებთ მხნეობას, ჯანის სიმრთელეს და დიდი ხნის სიცოცხლეს.

**მირაზ მებრაღიშვილი**





სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიზანია საგანმანათლებლო სისტემის მოწესრიგება. მისი ძირითადი ამოცანაა განათლების ხარისხობრივი ზრდა, რაც უმთავრესად კონტროლის ხარისხსა და სამართავი ქვესისტემისა და მმართველის ურთიერთდამოკიდებულებებში ვლინდება. აქედან გამომდინარე, ჩვენი დეპარტამენტის მიზანი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

სასწავლო პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის დღეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. თუმცა, ამ საკითხით ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე იყო დაინტერესებული, რომელმაც ევროპაში ინტეგრაცია საქართველოსათვის მნიშვნელოვან პრობლემად, ხოლო დავით გურამიშვილის შემოქმედება ევროპული კულტურის ნაწილად გამოაცხადა.

დეპარტამენტი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს ხელსაყრელ გარემოს უქმნის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის. სწორედ ამიტომ დეპარტამენტის კიდევ ერთი მიზანი - სასწავლო პროცესის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვისა და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების პროცესისათვის ხელშეწყობაა.

გამომდინარე ამ მიზნებიდან სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ფუნქციები რამდენიმე ძირითად მიმართულებად არის დაყოფილი:

1. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის კონტროლი;
2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლების დატვირთვის მონიტორინგი;
3. საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულთა ანაზღაურების მონიტორინგი;
4. სტუდენტთა მობილობა;
5. მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის (დიპლომის) მომზადება, გაცემა, აღრიცხვა.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესი ფუნქციაა. გასულ სასწავლო წლებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში გარკვეული ხარვეზები იყო: ადგილი ჰქონდა პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან მეცადინეობების არასაპატიო მიზეზით გაცდენას ან მეცადინეობაზე დაგვიანების ფაქტებს. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი სპეციალურად შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით სისტემატურ კონტროლს ახორციელებდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. მონიტორინგის ჯგუფის გაუქმების შემდეგ დეპარტამენტი კვლავ აგრძელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, თუმცა არა ისე საფუძვლიანად, როგორც გასულ წლებში. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ჩვენ ბევრი გვაქვს სამუშაო.

დეპარტამენტის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ფაკულტეტებთან და საგამოცდო ცენტრთან სასწავლო/სასესიო ცხრილების მომზადების, რეიტინგული წერებისა და გამოცდების მიმდინარეობის და სტუდენტთა რეიტინგული/სემესტრული შეფასებების ანალიზის პროცესში.

გასულ სასწავლო წლებში გარკვეული ხარვეზები იყო მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების კონტროლის პროცესშიც. მას შემდეგ, რაც ეს ფუნქცია ჩვენს დეპარტამენტს დაეკისრა, ეს ხარვეზებიც აღმოიფხვრა.

დეპარტამენტი დიდ ყურადღებას უთმობს უნივერსიტეტის სტუდენტთა

მოდრობას. სტატისტიკურ მონაცემებს ყოველთვიურად ვაახლებთ. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სასწავლო პროცესის მართვის პროგრამის დანერგვა უნივერსიტეტში, რაც ბევრად გააიოლებს კონტროლს სტუდენტთა დინამიკაზე.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტთა დამატებით სპეციალობებზე/არჩევით კურსებზე რეგისტრაციას და ამზადებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძა-



# saswavl o procesis marTvis departamenti

ნების პროექტს. გასულ სასწავლო წლებში რეგისტრაცია მიმდინარეობდა ფაკულტეტებზე. რის გამოც ხშირი იყო ერთი და იგივე სტუდენტის რამდენიმე სპეციალობაზე ეთდროულად რეგისტრაციის და ჩარიცხვის შემთხვევები. დღეს ანალოგიურ შეცდომებს აღვილი არ აქვს. მიმდინარე სასწავლო წელს სტუდენტებს გავუმარტივეთ რეგისტრაციის პროცესი: სასწავლო წლის ბოლოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად სტუდენტებისათვის მოვანყვეთ პროგრამების პრეზენტაცია, შემდეგ სტუდენტებმა ჩვენთან, დეპარტამენტში, დაარეგისტრირეს სასურველი პროგრამები. სტუდენტებს მივეცით საშუალება კიდევ ერთხელ ზაფხულის განმავლობაში გადაეხედათ საკუთარ არჩევანზე და სურვილის შემთხვევაში შეეცვალოთ დამატებითი სპეციალობა. ვერ ვიტყვი, რომ ეს პროცესი ძალიან მარტივია. მართალია გაუმჯობესებულია, მაგრამ მაინც რთულია. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა სტუდენტს საშუალებას მისცემს სახლიდან გაუსვლელად დაარეგისტრიროს სასურველი დამატებითი სპეციალობა ან არჩევითი სასწავლო კურსები.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის პროფესიული/საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამების საფუძველზე ჩვენი დეპარტამენტი ფაკულტეტების სასწავლო დეპარტამენტებთან ერთად ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულთა ინდივიდუალურ დატვირთვებს. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში ინახება პროფესორ-მასწავლებელთა ბოლო ოთხი სასწავლო წლის დატვირთვები. ხშირია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მომართვა მათ დატვირთვებთან დაკავშირებით. ჩვენ არც ერთ კითხვას უპასუხოდ არ ვტოვებთ და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ვუწვევთ დახმარებას. ახლა მიმდინარე-

ობს მუშაობა 2012—2013 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დატვირთვებზე. დატვირთვების შედგენის შემდეგ მუდმივად მიმდინარეობს დაკვირვება მათ შესრულებაზე. ამ თვალსაზრისით, დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს სასწავლო დეპარტამენტებთან მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

დეპარტამენტში ინახება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულთა სრული სია. კოლეგების დახმარებით შევადგინეთ სპეციალური პროგრამა, რომელშიც ასახულია თითოეული პედაგოგის დატვირთვა და სასწავლო წლის განმავლობაში დატვირთვებში განხორციელებული ცვლილებები. უნივერსიტეტში მოქმედი წესის მიხედვით თითოეული პედაგოგი ვალდებულია წარმოადგინოს ანაზღაურების დამადასტურებელი განაცხადი. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო

ლობის პროცესის უხარვეზოდ წარმართვის მიზნით, იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად, შევიმუშავეთ ბსუ-ში მობილობის წესი, სადაც დეტალურად გაწერილია ყველა პროცედურა, რაც უნდა გაიაროს სტუდენტმა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტში მკვეთრად იმატა მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობამ. ასე მაგ., 2009—2010 სასწავლო წელს უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის წესით გადმოვიდა 24 სტუდენტი, 2010—2011 სასწავლო წელს — 109, ხოლო 2011—2012 სასწავლო წელს — 273 სტუდენტი.

დეპარტამენტის საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უბანი დიპლომების გაცემაა. წლების განმავლობაში დიპლომების განყოფილებაში ინახებოდა დიდი რაოდენობით არარეალიზებული ან დაზიანებული, აგრეთვე შევსებული და გაუცემელი დიპლომის ფორმები. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, მთელი ამ წლის განმავლობაში, სისტემატურად მუშაობს სპეციალური საუნივერსიტეტო კომისია. კომისიამ გასული ორი სასწავლო წლის განმავლობაში განახორციელა დიპლომების აღრიცხვა და კანონით დადგენილი წესით უვარგისი დიპლომების ფორმების ჩამონერა ამჟამად მიმდინარეობს გასული სასწავლო წლის დიპლომების გამოუყენებელი ფორმების ჩამონერა და საუტილიზაციოდ მომზადება.

დეპარტამენტი ოპერატიულად ახორციელებს კანონით დადგენილი წესით ახალი დიპლომის ფორმების შეთანხმება/დამზადების პროცედურას. მიმდინარე სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა დიპლომების ფორმები კანონით დადგენილ ვადებში დამზადდა და ახლა მიმდინარეობს მათი გაცემა.

მიმდინარე სასწავლო წლიდან დიპლომების განყოფილება ახორციელებს სერტიფიკატების გაცემასაც.

და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: დეპარტამენტს ყოველდღიურად სხვადასხვა საკითხზე მომართავენ



ბის პროექტს პროფესორ-მასწავლებელთა მონევის შესახებ. სემესტრის განმავლობაში ვაკვირდებით კურსის გავლის პროცესს, ხოლო სემესტრის ბოლოს ვახორციელებთ შესრულებული საათების ანაზღაურებას.

მობილობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მონაპოვარია, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტს გააკეთოს არჩევანი საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით. ეს სტუდენტის თავისუფალი ნების გამოხატულებაა, რაც ამალავს პასუხისმგებლობას და სწავლის ხარისხს.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი წელიწადში ორჯერ ორგანიზებას უწევს სტუდენტთა მობილობას. დეპარტამენტი ახორციელებს როგორც გარე მობილობის, ასევე ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების აღდგენის პროცესს. მობი-

უნივერსიტეტის სტუდენტები. ჩვენ ყველა მათგანს ვუწვევთ დახმარებას. ვთვლით, რომ ჩვენი მთავარი ფუნქცია ესაა.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ის რგოლია, რომელიც ჩართულია არა მხოლოდ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში, არამედ საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა სფეროში. დეპარტამენტის თითოეულ წევრს სრულად აქვს გაცნობიერებული ის მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფისა და წარმატებისათვის არის უცილებელი და რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მისიის, აკადემიური თავისუფლების, დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას.

**მადონა მიქელაძე**  
სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი



ექვთიმე თაყაიშვილი (1863 -1953 წ.წ.) იყო დიდი ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), პროფესორი (1918), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი ფუძემდებელი. ე.თაყაიშვილმა 1883 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, ხოლო 1887 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ბერძნულ-ლათინურ ენათა განხრით.

1887-1894 წლებში ექვთიმე თაყაიშვილი ასწავლიდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში (ბერძნულ-ლათინურ ენებს, ისტორიას და გეოგრაფიას). 1894-1904 წლებში იგი განაგებდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიას. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიასთან ერთად, ეს გიმნაზია წარმოადგენდა ქართული ეროვნული განათლების უმთავრეს კერას. პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე ექვთიმე თაყაიშვილი შეუდგა აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. იგი გახლდათ წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი, ეპიგრაფიკის მკვლევარი, არქეოლოგი, ქართული მწერლობის ისტორიის მკვლევარი. დიდი ქართველი მეცნიერი და მამულიშვილი, პროფესორი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი ასე ახასიათებდა თაყაიშვილს: "ექვთიმე სპეციალობით არც არქეოლოგი იყო, არც ხელოვნებათა მეცნიერი, არც ისტორიკოსი, არც ქართული ფილოლოგიის სწავლული. მაგრამ იგი იმავე დროს ერთი იყო, მეორეც, მესამეც და მეოთხეც. სიდიადე მისი სულისა სწორედ აქ არის, - მან თავისი ერის სამსახურისთვის ეს მეცნიერებანი თვით შეისწავლა. იგი იყო „მოხალისე“, „მოყვარული“, მაგრამ ნამდვილი ბატონი საქართველოს



# ekvTime Tayai Svi I i

ერთად იმთავითვე იყო არჩეული "ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების" კომისიაში. როგორც ცნობილია, უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა. ექვთიმე თაყაიშვილი გახლდათ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს მიანიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იგი სამ სალექციო კურსს უძღვებოდა. ერთი პირველკურსელთათვის იყო და მოიცავდა საქართველოს სიძველეთმცოდნეობის შესავალს. ამასთან ერთად მეცნიერი კითხულობდა ეპიგრაფიკას და საქართველოს სა-

რა საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველოში). პირველი ექსპედიცია მოეწყო 1902 წელს. ექსპედიციაში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლები და ოლთისის ოლქის ნაწილი. მეორე ექსპედიცია 1907 წელს მოეწყო. ამ მოგზაურობის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა ინახულა და აღწერა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ექვთის ტაძარი, ამ ტაძრის სამხრეთით მდებარე სოფელ სოხროთის ტაძარი, ოთხთა ეკლესია, პარხლის ეკლესია და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები. ამ არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემულ იქნა პარიზ-

მართალია, ობოლენსკაიამ ვერ მიიღო უფლება დადიანების განძზე, მაგრამ იგი აღარც საქართველოს ეკუთვნოდა. ერთა ლიგის მიერ 1933 წელს საბჭოთა კავშირის ცნობამ მეტად უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მდგომარეობაზე: ხსენებულ წელს გაუქმდა საფრანგეთში საქართველოს საელჩო და მის ნაცვლად შეიქმნა "ქართული ოფისი". განძი საფრანგეთმა დაისაკუთრა. ექვთიმე თაყაიშვილი ბევრს ეცადა მიეღწია საფრანგეთის მთავრობის უსამართლო განაჩენის გაუქმებისათვის, მაგრამ ამოდ. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გახდა შესაძლებელი განძის საქართველოში დაბრუნება. ჯერ კიდევ 1944 წლის ნოემბერში ექვთიმე თაყაიშვილი შეხვდა სსრკ -ს ელჩს საფრანგეთში ა. ბოგომოლოვს, რომელსაც გააცნო განძ-



წარსულის კვლევის ფართო ნიადაგზედ... იგი იყო განმგრძობი დიმიტრი ბაქრაძის, თავისი უფროსი თანამედროვის თ. ჟორდანიას და სხვათა ღვაწლისა, რომელთაც იგივე მიზანი ხელმძღვანელობდა მათი უანგარო, დაულალავი და ხანგრძლივი შრომის დროს" (იხ. ჟ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, #16, 1954, გვ. 8).

საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომლის მიზანი საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა იყო. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართოდ დაწყო მუშაობა გაშალა. მრავალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი პოპულარობა მოუტანა საზოგადოებას. ექვთიმე თაყაიშვილმა დააფუძნა ორი სამეცნიერო სერია "ძველი საქართველო" და "საქართველოს სიძველენი". იგი თავად იყო ამ სერიების ტომების შემდგენელი. ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ. ნაშრომისათვის "მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის" 1911 წლის 28 მარტს იგი აღნიშნული საზოგადოების დიდი ოქროს მედალით დაჯილდოვდა.

დიდა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი ივანე ჯავახიშვილთან

ეკლესიო ისტორიას. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერებს. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საყურადღებო იყო როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით; საერთოდ კი 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თავმოყრილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლის, რომელიც საზოგადოებამ ვინმე კორინთელისაგან შეიძინა. საზოგადოების შენაძენთა შორის არის აგრეთვე მეფე გიორგი XI-სათვის 1680 წელს მისი მდივნის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ხელნაწერი გამოირჩევა თავისი მოხატულობით. ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა გადარჩენა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული.

ექვთიმე თაყაიშვილის გულმოდგინების შედეგი იყო „ხელმწიფის კარის გარეგების“ ხელნაწერის აღმოჩენა. ეს ხელნაწერი ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში იპოვა. ექვთიმე თაყაიშვილი მუდამ ცდილობდა, რომ ყოველივე ის, რასაც აღმოაჩენდა, უცვლელად გამოეცა. ასევე მოიქცა აღნიშნული ხელნაწერის მიმართაც. 1920 წლის მაისში თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ „ხელმწიფის კარის გარეგება“ მისი გამოკვლევით და წინასიტყვაობით გამოსცა. ექვთიმე თაყაიშვილმა სამგზის იმოგზაუ-

ში, 1930-იანი წლების მეორე ნახევარში. ექვთიმე თაყაიშვილის პოლიტიკური მოღვაწევა გახლდათ. 1917 წელს იგი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1919-1921 წლებში კი იგი გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პარლამენტის, - დამფუძნებელი კრების, თავმჯდომარის მოადგილე.

ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და მისი ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დატოვა საქართველო. იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში, მეურვეობდა რა საქართველოს ეროვნულ განძს, რომლის ოფიციალურ პატრონად მენშევიკური მთავრობა ითვლებოდა. განძი აუნერგელი ფასეულობისაგან შედგებოდა. აქ იყო თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატები და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი სხვა საგანძური, ძვირფასი ხელნაწერები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის სასახლის განძეულობა, ბორჯომის სასახლის ქონება და სხვა მრავალი.

ექვთიმე თაყაიშვილი ერთხანს პარიზში ცხოვრობდა, შემდეგ კი გადავიდა ლევილის მამულში. ამავე დროს, იგი განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. მისი აღიარების დასტური იყო ის, რომ იგი ჯერ პარიზის ნუმისმატათა საზოგადოების (1922 წლის 4 თებერვალი), ხოლო შემდეგ საფრანგეთის საზოგადოების (1925) ნამდვილ წევრად აირჩიეს. 1937-1939 წლებში თაყაიშვილი იყო მის მიერვე დაარსებული "ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდი"-ს თავმჯდომარე. ამასთან, იგი გახლდათ სამეცნიერო პერიოდული გამოცემის "გეორგია" (ლონდონი) სარედაქციო საბჭოს წევრი. ნიუ-იორკისა და ბრიტანეთის მუზეუმები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ საქართველოს განძის თუნდაც მცირე ნაწილი. ფრანგი ისტორიკოსი მილე ნივთების ფოტოგრაფიულად გადაღების ნებართვას ითხოვდა. ექვთიმე თაყაიშვილი თავს ევლებოდა საქართველოს საუფხვს და კატეგორიულ უარს ეუბნებოდა ყველას, ვინც კი განძთან დაკავშირებით რაიმეს ითხოვდა. ხედავდა რა უდიდეს ინტერესს განძისადმი, ექვთიმეს აწუხებდა მისი მომავალი ბედი.

ექვთიმე თაყაიშვილს დიდი მცდელობა დასჭირდა იმისათვის, რომ სასამართლოს წესით უარეყო გრაფ ალექსანდრე ობოლენსკის ქვრივის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ასულის, საღომე ობოლენსკაიას საჩივარი, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა ზუგდიდის მუზეუმიდან გატანილ განძეულობაზე.

თან დაკავშირებული ვითარება და შემწეობა სთხოვა, თანაც გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ დე გოლის სახელზე. დე გოლმა განკარგულება გასცა საქართველოს საუფხვის დაბრუნების თაობაზე.

1945 წლის 11 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილი თბილისში დაბრუნდა. ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე იგი აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებათა აკადემიასთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე. 1945 წლის 10 მაისს არჩეულ იქნა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად, 1946 წელს კი იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

1946 წელს ექვთიმე თაყაიშვილი საჯაროდ წარდგა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე მოხსენებით "ვეროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ". მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ 1949 წელს სრუ-



წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ეკლესია

ლი სამეცნიერო აპარატის თანხლებით გამოცემული სუბზატ დავითის ძის ქრონიკატო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. კარდაიცვალა 1953 წლის 21 თებერვალს, უკიდურეს გაჭირვებაში. მის დაკრძალვას ვაკის სასაფლაოზე მხოლოდ ორმოცამდე ადამიანი დაესწრო... იგი გადასვენებულია საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. ქართულმა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

ოთარ გოგოლიშვილი, პროფესორი



# მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა — პერსპექტივა Tu probl emა?



თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ პრობლემათა შორის განსაკუთრებული ადგილი დემოგრაფიულ პრობლემებზე მოდის. აღნიშნული პრობლემა იმდენად რთული და მრავალნაწიანია, რომ იგი ეხება საზოგადოების განვითარების არა ერთ მხარესა და მიმართულებას. თავის მხრივ დემოგრაფიულ პრობლემებზე გავლენას ახდენს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები.

დემოგრაფიული პრობლემის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს მოსახლეობის ზრდა, რომელიც შესულია „დემოგრაფიული აფეთქების“ ფაზაში. მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა ჩვენი წელთა აღრიცხვის დასაწყისში იყო 150-230 მილიონი კაცი, 2012 წელს - 7,06 მილიარდ კაცს გადააჭარბა. თუ მსოფლიოს მოსახლეობის პირველ გარემავებას დასჭირდა 500 წელი, ბოლო გარემავებას მხოლოდ 40 წელი. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპი საშუალოდ ყოველწლიურად შეადგენს 1,1 %-ს, ანუ მსოფლიოს ყოველწლიურად ემატება 83-84 მილიონი კაცი. დემოგრაფები ვარაუდობენ, რომ მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2050 წლისათვის 9,05 მილიარდს გადააჭარბებს.

ვიდრე მსოფლიოს მოსახლეობა 7 მილიარდიან ზღვარს მიაღწევდა, ექსპერტებმა და მოაზროვნეებმა საზოგადოების ზრდის საფრთხის შესახებ მოგვცეს გაფრთხილება. მათი ანალიტიკა კი ფიქსირებოდა საზოგადოებრივი ზრდის სწრაფი ტემპის ფაქტს, სოციოლოგიურ პროგნოზებს და სტატისტიკური შედეგების დედამიწის შეზღუდულ რესურსებთან შედარებას. ეს ექსპერტები ხვდებოდნენ იმას, რომ მსოფლიო საზოგადოების აჩქარებული ზრდა უდიდესი აფეთქების სახეს მიიღებდა, რაც არამარტო ცხოვრების დონეს დაკნინებებს, არამედ დედამიწის ეკოლოგიურ გარემოს და ჯანსაღ სიცოცხლესაც უდიდეს საფრთხეს შეუქმნის. აქედან გამომდინარე, დემოგრაფიის გასაკონტროლებელი პროგრამების თეორიული და პრაქტიკული მხარდაჭერის მიზნით, უფრო მეტი სიჩქარე და სიმყარე შეიძინა საზოგადოებრივმა დარაზმებმა.

მსოფლიოს „დემოგრაფიული ბუმის“ ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ისაა, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდას გააჩნია რეგიონალური ხასიათი. კერძოდ, 1950 — 2012 წლებში ევროპის მოსახლეობა 572 მილიონი კაციდან, 786 მილიონ კაცამდე, ანუ მხოლოდ 1,37 ჯერ გაიზარდა, როცა აფრიკის მოსახლეობა შესაბამის პერიოდში 220 მილიონიდან, 1,05 მილიარდამდე, ანუ 4,65 ჯერ, ხოლო აზიის მოსახლეობა 1,39 მილიარდიდან, 4,26 მილიარდამდე, ანუ 3,06-ჯერ. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ყოველწლიური მატების თითქმის 75%-ზე მეტი მოდის განვითარებად ქვეყნებზე, მათ შორის მარტო ინდოეთს ყოველწლიურად ემატება 18-19 მილიონი კაცი, ანუ საერთო მატების 21%-ზე მეტი, როცა ევროპის ბევრ ქვეყანაში (რუსეთში, უკრაინაში, პოლონეთში, ლატვიაში, ლიტვიაში, ესტონეთში, მოლდოვაში და სხვა) მოსახლეობის რიცხოვნობა თანდათანობით მცირდება.

მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკა მთლიანად დაკავშირებულია მოსახლეობის ბუნებრივი მატებაზე. ზოგადად მოსახლეობის ბუნებრივი მატება არის შობადობისა და

სიკვდილიანობის კოეფიციენტებს შორის სხვაობა, რომელსაც ანგარიშობენ ყოველ 1000 კაცზე და გამოსახვენ პრომილებით. მსოფლიოში 2012 წლისათვის შობადობა შეადგენდა 19,14 პრომილეს, ხოლო სიკვდილიანობა -7,99 პრომილეს, შესაბამისად, ბუნებრივი მატება 11,15 პრომილეა, ანუ მსოფლიოს ყოველ 1000 კაცზე ბუნებრივი მატება შეადგენს 11,15 კაცს. მსოფლიოს მასშტაბით ყოველ

ერთ წამში იბადება 4,6, ხოლო კვდება 2,5 ადამიანი.

ბუნებრივ მატებაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის უმთავრესია სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ცხოვრების დონე, ურბანიზაციის დონე, რელიგიური კუთვნილება და სხვა. აქედან გამომდინარე, ქვეყნები ბუნებრივი მატების მიხედვით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. შესაბამისად განასხვავებენ მოსახლეობის ბუნებრივი მატების, ანუ აღწარმოების სამ ტიპს: გაფართოებულ, მარტივსა და შეზღუდულს. გაფართოებული აღწარმოების ტიპი დამახასიათებელია აფრიკისა და აზიის ქვეყნებისათვის. მათ შორის ყველაზე



მაღალი უგანდაში - 34,2, მალში - 32,7, ნიგერიაში - 25,8, ავღანეთში - 24,8 და სხვა ქვეყნებში. ბუნებრივი მატების შეზღუდული ტიპი დამახასიათებელია ძირითადად ევროპის ქვეყნებისათვის, სადაც საშუალოდ 1-2 პრომილეა, ხოლო ცალკეულ ქვეყანაში (გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, რუსეთში, იტალიაში, ბალტიის ქვეყნებში) დამახასიათებელია „დეპოპულაცია“, ანუ უფრო მეტი კვდება, ვიდრე იბადება. საქართველოში ბუნებრივი მატება 2011 წლისათვის იყო 1,8 პრომილე.

დემოგრაფიული პრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და მისი რეგიონალური თავისებურებანი. მსოფლიოში მამაკაცების რაოდენობა 50,3 %-ია, ხოლო ქალების 49,7 %. შესაბამისად მამაკაცები 43 მილიონით აღემატება ქალების რაოდენობას. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა შესაბამისად დაკავშირებულია ბუნებრივი მატების მაჩვენებლებთან. რაც უფრო მაღალია ბუნებრივი მატება, შესაბამისად მეტია მამაკაცებისა და ახალგაზრდების ხვედრითი წილი. საშუალოდ ყოველ 100 ახალშობილზე 56-57 ბიჭი მოდის. სწორედ ამ ფაქტორის შედეგად ქვეყნები განსხვავდებიან მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის მიხედვით. მამაკაცების ხვედრითი წილი აზიისა და აფრიკის ცალკეულ ქვეყანაში (ავღანეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში, ინდოეთში, ნიგერიაში, მალში და სხვა) აღემატება 52-53 %-ს, როცა ევროპის ბევრ ქვეყანაში 47 %-მდეა.

კიდევ უფრო საინტერესოა მსოფლიოს მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების რეგიონალური განაწილების თავისებურებანი. 0-14 ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 26,3 %, 15-64 წლის ჯგუფზე - 65,8 %, ხოლო 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაზე 7,9 %. 0-14 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი მოდის

აფრიკაზე 42,8 % (მალში 47,8 %, უგანდაში 47,1 %), როცა ევროპაში ეს მაჩვენებელი - 14,5 %-ია. შესაბამისად, 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის მაღალი მაჩვენებელი ევროპაშია 17,6 %, როცა აფრიკაში - 6,1 %-ია (უგანდაში 2,1 %, მალში 3%, ნიგერიაში 3%). ევროპაში აშკარად შეინიშნება მოსახლეობის „დაბერების“ ტენდენციები. საქართველოში 0 -14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 15,5%, 15-64 წლისაზე - 68,4, ხოლო 65 და მეტი წლის ასაკზე - 16,1%.

მსოფლიოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის რეგიონალური სხვაობა უწინარესად ბუნებრივ მატებაზე დამოკიდებული, მაგრამ მასზე ასევე გავლენას ახდენს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. მსოფლიოში მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 67,1 წელია. ეს მაჩვენებელი ჩრდილო ამერიკაში 77,8 წელია, ევროპაში -74,1, ხოლო აფრიკაში- 50,7 (აფრიკის ცალკეული ტომის - პიგმეების, ბუშმენების, ჰოტენტოტების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატება 45-47 წელს). ქვეყნებს შორის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალია იაპონიაში 83,9 წელი(მამაკაცებში -80,5, ქალებში-87,4. საქართველოში 67,8 წელია.

ინტერესი მოსახლეობის შესწავლის მიმართ არსებობდა შორეულ წარსულში. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოგზაური-გეოგრაფების ნაშრომებში ცენტრალური ადგილი ეკავა ქვეყნის, ან რომელიმე ტერიტორიის მოსახლეობის დახასიათებას. მოსახლეობის შესწავლა ხდებოდა როგორც ქოროლოგიური(მოსახლეობის ტერიტორიული განაწილების), ისე ქრონოლოგიური(მოსახლეობის დროში განვითარების) მიმართულებით. ძველ პერიოდში მოსახლეობის შესწავლის საქმეში ძირითადი აქცენტები კეთდებოდა სტატისტიკასა და დინამიკაში. საზოგადოების განვითარებასთან ერთად თანდათანობით ფართოვდებოდა მოსახლეობის გეოგრაფიის შესწავლის ინტერესი და შესაბამისად იქმნებოდა სხვადასხვა თეორია და სკოლები. კაპიტალიზმის ჩასახვის ეპოქაში წარმოებისა და მოხმარების ბალანსთა სხვაობამ დააფიქსირა მოსახლეობის დაჩქარებული ზრდის ტენდენციები, რომელსაც მოჰყვა ცალკეული გართულებები. სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას მე-18 საუკუნის ბოლოს, ინგლისელმა ეკონომისტმა და მღვდელმა თომას მალთუსმა მიუძღვნა თეორია, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი საარსებო საშუალებები. მალთუსი

წავლის ინტერესი და შესაბამისად იქმნებოდა სხვადასხვა თეორია და სკოლები. კაპიტალიზმის ჩასახვის ეპოქაში წარმოებისა და მოხმარების ბალანსთა სხვაობამ დააფიქსირა მოსახლეობის დაჩქარებული ზრდის ტენდენციები, რომელსაც მოჰყვა ცალკეული გართულებები. სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას მე-18 საუკუნის ბოლოს, ინგლისელმა ეკონომისტმა და მღვდელმა თომას მალთუსმა მიუძღვნა თეორია, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი საარსებო საშუალებები. მალთუსი



თვლიდა, რომ თუ მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდებოდა, მაშინ მსოფლიოს აუცილებლად მოელოდა საყოველთაო შიმშილი. აქედან გამომდინარე, ის დადებითად აღიქვამდა მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, რომელსაც ინვესტა ომები, ემიგრაციები, მოუსახლეობა და სხვა. მალთუსის რეაქციულ თეორიას მიმდევრები მე-20 საუკუნეშიც ჰყავდა. გერმანელი მღვდელი ამტკიცებდა, რომ ატომური ბომბი მეტად სასარგებლოა, რადგან მას შეუძლია ამ ქვეყნიდან, იმ ქვეყანაში ერთდროულად მილიონობით ხალხი მიიყვანოს.

მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანელმა გეოგრაფმა ფრიდრიხ რატცელმა დაარსა ანთროპოგეოგრაფიის სკოლა. რატცელის მიხედვით ადამიანების ცხოვრების უმნიშვნე-

ლოვანესი ასპექტები - შრომა, ქორწინება, გადაადგილება და სხვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოზე. ამასთან, მეორე მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა კულტურას და თვლიდა, რომ იქ სადაც უფრო მაღალია საზოგადოებრივი წარმოების კულტურა, მით უფრო იზრდება მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ანთროპოგეოგრაფიის სანინაღმდეგოდ ჩამოყალიბდა „ადამიანის გეოგრაფიის“ ფრანგული სკოლა, რომელსაც ვიდალ დე ლა ბლანი ხელმძღვანელობდა. ამ სკოლის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირს, მაგრამ უგულბებლყოფდნენ მოსახლეობას, როგორც ერთიან საზოგადოებრივ ორგანიზმს.

ყველა ზემოთ დასახელებული თეორიები და სკოლები მეტ-ნაკლებად მიმართული იყო მოსახლეობის დინამიკის რეგულირებისა და მათი ტერიტორიული ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ მათი შეხედულებები უფრო რეაქციულ და პრაგმატიულ ხასიათს ატარებდა.

მოსახლეობის ზრდა ერთგვარ მსოფლიო საფრთხედ მიჩნეული გახდა და ამ საკითხისადმი საზოგადოებრივი აზრის ყურადღების მისაქცევად 1989 წელს 11 ივლისი მსოფლიოს მოსახლეობის დღედ გამოცხადდა. ამის შემდეგ უამრავი სახელმწიფო დაეთანხმა იმას, რათა მოსახლეობის გაკონტროლების მიზნით, საკუთარ სოციალურ პროგრამებში გაითვალისწინონ ეკოლოგიურ გარემოსთან, საარსებო რესურსებთან, ეკონომიკურ—სოციალურ-კულტურულ-ეკოლოგიურ განვითარების ფაქტორებთან მოსახლეობის კოორდინირების მიღწევის ტენდენცია.

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ერთის მხრივ“ დემოგრაფიულმა აფეთქებამ“, ხოლო მეორეს მხრივ „დემოგრაფიულმა კრიზისმა“ ამ ქვეყნებს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები შეუქმნა. ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებას „დემოგრაფიული პოლიტიკის“ შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს. „დემოგრაფიული პოლიტიკის“ წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, რომლის მიზანია მოსახლეობის აღწარმოების პროცესებზე ზემოქმედების აღშვებით ხელი შეეწყოს მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას, ან შემცირებას.

დემოგრაფიული პოლიტიკის კოორდინირება თავის თავზე აიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. 1967 წელს გაეროს ინციატივით შეიქმნა მოსახლეობის ფონდი (UNFPA), რომელსაც დახმარებას უწევს უპირატესად განვითარებადი ქვეყნების მთავ-

რობებს შობადობაზე კონტროლის განხორციელების საქმეში. დემოგრაფიული სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც წესი, მიმართულია შობადობის შემცირების ან გაზრდისაკენ. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს განვითარებად ქვეყნებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში - განვითარებულთან.

დემოგრაფიულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მსოფლიოს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარება, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო არმოჩნდება სერიოზული პრობლემების წინაშე.

**მირაზ ფუტყარაძე**  
გეოგრაფიის დეპარტამენტის  
ასოცირებული პროფესორი



# aWaris I andSaftebis ekol ogiuri mdgomareoba

მეცნიერულ დარგებს შორის გეოგრაფიას ნამყვანი ადგილი უჭირავს ბუნებრივი კომპლექსების (ლანდშაფტების) ბუნებათ-სარგებლობის, გარდაქმნის და გარემოს დაცვის საქმეში. ბუნე-ბათსარგებლობის პროცესში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობას, რელიეფურ და კლიმატურ თავისებურებებს და სხვა ფაქტორებს.

აჭარა შედის საქართველოს სამხრეთ მთიანეთის შემადგენ-ლობაში. იგი გამოირჩევა განსხვავებული ბუნებრივი პირობები-თა და ბუნებრივი ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც გამოწვეულია გეოგრაფიული მდებარეობით, გეოლოგიური წარსულით, ზედაპირის რელიეფის ფორმებით, კლიმატური პი-რობებით, შავი ზღვის გავლენით და სხვა ფაქტორებით.


აჭარა მთიანი ქვეყანაა, სადაც გორაკ-ბორცვებს, ნინამ-თებს და მთებს 90%-ზე მეტი უჭირავს. დაბლობი სამი ნაწილის (კახაბრის, ქობულეთის და ჩაქვის დაბლობების) სახით გავრცე-ლებულია ზღვის სანაპიროს გასწვრივ. მუდმივ დასახლებას და მინათმოქმედებას უჭირავს მთელი ტერიტორიის 30%-მდე. ამა-ვე დროს აჭარა საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული, საშუალოდ 124 კაცი 1 კვ.კმ-ზე, ხოლო ზოგიერთ დასახლებულ უბანში (ზღვისპირა ზონა) 500-800 კაცი 1 კვ.კმ-ზე.

ბუნებრივ კომპლექსებზე მძლავრმა ანთროპოგენურმა დატვირთვამ ისედაც რთულ რელიეფურ და კლიმატურ პირო-ბებში გამოიწვია გეოეკოლოგიური ნონასწორობის დარღვევა. ამის გამო ბოლო პერიოდში გააქტიურდა მენყერები, თოვლზვა-ვები, ღვარცოფები, ნიადაგის ეროზია და სხვა. აღნიშნულ პრო-ცესებს ადგილი აქვს როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა მთიანი აჭარის პირობებში. აჭარაში სულ დაიმყვრა 177 სოფელი და მენყერსაშიმ ზონაშია 51 სოფელი. ასევე ქობულეთისა და ხელ-ვაჩაურის რაიონებში რამდენიმე ოჯახმა შეიცვალა საცხოვრე-ბელი ადგილი. ზოგჯერ ფერდობზე ადგილი აქვს ნიადაგის ჩაქ-ცევას (ქობულეთის რაიონი, სოფელი ჩაისუბანი), რის გამოც კა-პიტალური სახლი იშლება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დღითიდღე იზრდება ლანდშაფტების დიფერენციაციისა და ბუნებათსარგებლობის საკითხების ცოდნის აუცილებლობა.(2)

აჭარა, რომელიც ხასიათდება თავისებური ბუნებრივი პი-რობებითა და მდიდარი რესურსებით, ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო რეგიონია. შედარებით მცირე ფართობის მქონე ტერიტორიაზე (2900 კვ.კმ), ბუნების იშვიათ ნაირფეროვნებასთან გვაქვს საქმე, ზღვის სანაპიროდან დანყებული კოლხური პოლიდომინანტური ნოტიო სუბტროპი-კული მცენარეულობით დაწყებული მაღალი მთების მიმართუ-ლებით სუბალპური და ალპური მდელოებით დამთავრებული.

ლანდშაფტის კომპონენტები (რელიეფი ქანი, დედაქანი ზედაპირული ატმოსფერული ფენა, წყალი, ნიადაგი, მცენარეუ-ლობისა და ცხოველთა სამყარო) ერთმანეთთან მჭიდროდაა და-კავშირებული და ერთიმეორეზე ახდენენ გავლენას, ყველაგან ბუნებრივი კომპონენტები ამა თუ იმ ხარისხით განიცდის ანთ-როპოგენური საქმიანობის გავლენას.



სურ.1 კავკასიის ლანდშაფტური რუკა

აჭარის ზღვისპირა აჭარაში დაბლობები და გორაკ-ბორცვე-ბი, ხოლო შიდა მთიანი აჭარაში ქვაბური და მთის ფერდობები ყველაზე მეტად განიცდის ანთროპოგენურ ტრანსფორმაციას და მისი ანალოგი არ გვხვდება არა მარტო საქართველოში, არა-მედ ამიერკავკასიაში. ლანდშაფტის ძლიერი ანთროპოგენიზა-ცია განაპირობა ნიადაგური და კლიმატური კომპონენტების სა-ფუძველზე ეკონომიკურად მნიშვნელოვანმა სოფლის მეურნეო-ბის განვითარებამ, რაც განაპირობა ჭარბმა დასახლებამ და აგ-რარული ლანდშაფტების ფორმირებამ.

ზღვის სანაპირო დაბლობი აღმოსავლეთით გადადის გო-რაკ-ბორცვებში და მოიცავს 30-40-250-300 მეტრ ჰიფსომეტრი-ულ სიმაღლეს. ისინი უშუალოდ დაბლობს ემიჯნებიან. გორაკ-ბორცვები მდინარეების ქორხის, ბარცხანის, ყოროლისწყა-ლის, აბანოსწყალის, ჩაქვისწყალის, აჭყვისწყალის, კინტრიშის-წყალის, კინტრიშის, აჭყვისთავისწყლის და ჩოლოქის შენაკადე-ბის მიერ ძლიერ დანაწევრებული და ეროზირებულია.

აჭარის გორაკ-ბორცვებიანი ზოლი იწყება სარფიდან და ვრცელდება ოჩხამურსა და ცეცხლაურამდე, ლეღვასა და ქაქუ-თის ჩათვლით. გორაკ-ბორცვები უფრო მეტ სიგანეს აღწევს ოჩხამურ-ქაქუთის სიგანეზე. გორაკ-ბორცვების ზონა ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული. ამ ზონაში ერთ სულზე მოდის 400კვ. მეტრი სასოფლო-სამეურნეო სავარგულო საკარმიდამო

და საზოგადოებრივი ნაკვეთის ჩათვლით. ამის მსგავსი არ არის არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში. გორაკ-ბორცვებმა სუბტროპიკული კულტურებისათვის საუკეთესო ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამო ძლიერ განიცადა ანთ-როპოგენური ფაქტორის ზეგავლენა. ჯერ კიდევ მიმდინარე სა-უკუნის დასაწყისში სალიბაურში, ზედა კაპრემუში, ფერიაში, მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, ჩაქვი და ციხისძირში საკმაოდ დიდი ფართობები ეკავა ჩაის, ციტრუსების, ბამბუკის, ტუნგის და სხვა კულტურების პლანტაციებს. მათი გაშენება ინტენსიუ-რად წარმოადგინა XX საუკუნის 30-იან წლებში ე.წ. კოლექტივიზა-ციის პერიოდში. ამ დროისათვის გორაკ-ბორცვიან ზოლში მთლიანად ამოიძირკვა კოლხეთის ტიპის ტყე, ჩატარდა ნიადა-გის 45მ სიღრმეზე დამუშავება და გაშენდა ჩაის პლანტაციები. ციტრუსებისა და ტუნგისათვის ჩატარდა ფერდობების დატე-რასება და გაშენების წინ ტერასებიც დამუშავდა 45 სიღრმეზე. ყოველივე ასეთმა მოქმედებამ თავისებური გავლენა მიახდინა მიკროკლიმატზე, მცენარეთა საფარზე, ნიადაგის თვისებებზე, ცხოველებზე და ლანდშაფტის სხვა კომპონენტებზე.

გორაკ-ბორცვები აღმოსავლეთით გადადის მთისწინეთში, დაბალ, საშუალო და მაღალ მთებში. მათ გეომორფოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მესხეთის ანუ აჭარა-იმერეთის ქედი და მისი განტოტვანი.

მთისწინები მოიცავს 250-300 და 550-600 მეტრ სიმაღლეს. ნინამთები გორაკ-ბორცვების მახლობლად ათვისებული და და-სახლებულია. სასოფლო სამეურნეო სავარგული ძირითადად ვრცელდება 350 მეტრამდე, ხოლო ზოგიერთ სოფლებში ზედა დაგვა, ყოროლისთავი, ზედა ახალშენი, ერგე, სიმონეთი და სხვა ვრცელდება 400-430 მეტრამდე. დარჩენილი ტერიტორიები უჭირავს ბუჩქნარებსა და ტყეებზე. ნინამთები მდინარე-ებით, მათი შენაკადებით და ნაკადულებით ძლიერ დანაწევრე-ბულია და უხვი ატმოსფერული ნალექებით განიცდის ეროზიულ პროცესებს. მოსახლეობამ ათვისა მთისწინების ერთწლიანი



სურ. 2. აჭარის მაღალმთიანეთში მიმდინარე გეომორ-ფოლოგიური პროცესები (ეროზირებული ფერდობები) გა-მონეული ტყეების კავშირით.

და მრავალწლიანი კულტურებით, ყოველივე ამან კი გააქტიურა ეროზიული პროცესები.

გორაკ-ბორცვიანი ზოლიდან მაღალი მთებისაკენ კარგადაა გამოხატული ვერტიკალური ზონალობა. მთა-ტყის ლანდშაფ-ტში ვრცელდება 2000-2100 მეტრამდე. შემდეგ 2400-2500 მეტ-რამდეა სუბალპური ზონა და 2400-2500 მეტრს ზევით განსა-კუთრებით მწვერვალები დაფარულია ალპური მდელოებით. აქაც სუბალპური ტყეების გაჩეხვისა და ალპურ სარტყელში პი-რუტყვის გადაჭარბებული ძოვების შედეგად დაიწყო ეროზიუ-ლი პროცესები, მთის ფერდობების დახრამვა, რასაც შემდგომ ახლავს შეუქცევადი გეომორფოლოგიური პროცესები, ბუნე-ბის სტიქიური მოვლენების განვითარება, რითაც ერთ-ერთ ურ-თულეს რეგიონს წარმოადგენს საქართველოს ეკოსისტემაში.

დაიმყვრა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (560 ჰა), დაინგრა 1200-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, საშიმ ზონაშია მოქცეული 8000-მდე საცხოვრებელი სახლი, დაინგრა 160-მდე სხვადასხვა სახის ხიდი, მწყობრიდან გამოვიდა 340 კმ. ცენტრ-ალური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. საშიმი გეოლო-გიური პროცესების განვითარების ზონაში იმყოფება აჭარის ტერიტორიის 30%. ანთროპოგენური დატვირთვა აჭარის მა-ღალმთიანეთში 3,2-ჯერ აჭარბებს დასაშვებს.

არანაკლები ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას შავი ზღვის სანაპირო ლანდშაფტები, განსაკუთრებით კი ქალაქი ბა-თუმი და მისი შემოგარენი. მანქანების სანავის გამოწვეულია ნიავის დაბრუნების წარმოქმნილი მტვრის კორიანტელი, ფერა-დი „პარკებით“ „მორთული“ ხეები, მოუწესრიგებელი სადარბა-ზოების ბუნკერები და ა.შ. — ყველაფერი ეს ჩვენი ქალაქი.

ჰაინრიხ ბილის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მხარდაჭერით ორგანიზებული 2011 წლის 4 ნოემბრის ბათუმის საჯარო დისკუსია შეეცადა გაერკვია თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ აჭარის რეგიონში, კერძოდ ქალაქ ბათუმში, ქალაქში სა-დაც ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად განხორციელე-ბული თუ მიმდინარე სამშენებლო პროექტების შედეგად გა-დატვირთული ზღვის სანაპირო ზოლი თუ შავი ზღვის წყლის სი-სუფთავე წარმოადგენენ ექსპერტების აზრით ეკოლოგიური პრობლემების იმ მცირე ჩამონათვალს, რომლის დაძლევაც ჩვენ ახლო მომავალში აუცილებლად მოუწევს.

ქალაქის დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობიდან გა-მომდინარე ბათუმის ზღვისპირა ზოლის ეკოლოგიური მდგომარ-ეობა საკმაოდ რთულია. ბუნებრივია, ბათუმის ზღვის სანაპი-რო — საპორტო აკვატორიით, ძველი და ახალი ბულვარით — დატვირთული სასტუმროებით და პარკებით, წარმოადგენს ქა-ლაქის ერთ-ერთ განსაკუთრებულ და უმნიშვნელოვანეს ნა-



სურ.3. ბათუმის ნავგასაყრელი მდ. ქორხის შე-სართავთან.

წილს. დღეისათვის, სახელმწიფოსა თუ სხვადასხვა კერძო ინ-ვესტორების მხრიდან ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა ერთი მხრივ ხელს უწყობს ბათუმში ტურისტების ნაკადის ზრდას, თუმცა მეორეს მხრივ ბათუმის ზღვის სანაპირო ზონის მიმდებარე ტერიტორიების მაქსიმალურ-რად ათვისება (სასტუმროები და სხვადასხვა სახის გასართობი პარკები) საგრძობლად ამძიმებს ბათუმის ზღვისპირა ზოლის ეკოლოგიურ მდგომარეობას. ზღვის სანაპირო ზონაში კაპიტა-ლური ნაგებობების მასობრივი მშენებლობა დაუშვებელია და სხვადასხვა სახის გასართობი და სავაჭრო ობიექტები უნდა მდებარეობდეს ზღვის სანაპირო ზონის მიღმა, პლაჟზე შეიძლე-ბა მხოლოდ სეზონური ასანყობ — დასაშლელი მსუბუქი კონსტ-რუქციის ნაგებობების შექმნა. დღეს არამარტო ბათუმის ბულ-ვარის გასწვრივ, არამედ სარფიდან ანაკლიამდე, ზღვის სანაპი-რო ზონაში, პლაჟზე გაჩნდა კაპიტალური ნაგებობები, რაც ყოე-ლად დაუშვებელია. ძლიერი ლეღვისას მსგავსი ნაგებობები შე-იძლება დაზიანდეს, ან საერთოდ დაინგრეს, რითაც იქმნება ეკოლოგიურად დაბინძურებული პლაჟი.

გონიოსა დ კვარიათის ზღვისპირა ზოლში მიმდინარე მასი-ური მშენებლობა დაუშვებელია. მიმდინარე მშენებლობები არა მარტო ხელს უშლის რეგიონის მდგრად ეკოლოგიურ გან-ვითარებას არამედ ეს ასევე ანადგურებს რეგიონის ლანდშაფ-ტურ მიმზიველობას — რის შედეგაც სავსებით შესაძლებელია იყოს ტურისტების ნაკადის კლება.

ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების გავარტოების გეგ-მების შემუშავებისას აუცილებელია რეგიონის ლანდშაფტის ეკოლოგიური მდგომარეობის მაქსიმალური შენარჩუნება. აქ უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ზღვისპირა სანაპირო ზოლის ტერიტორიაზე მშენებლობების დაგეგმვისას ეკოლოგი-ური საკითხების მაქსიმალურ გათვალისწინებაზე.

ალსანიშნავია ასევე საზოგადოების მცირე დაინტერესებაზე ეკოლოგიური საკითხებით, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას წარ-მოადგენს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რეგიონის ახალგაზრდებ-ში ეკოლოგიური თვითშეგნების ამაღლება, რაც უპირობოდ გა-მოიწვევს საზოგადოების გააქტიურებას და რაც ახლო მომა-ვალში აიძულებს სახელმწიფოს გაითვალისწინოს რეგიონის წი-ნაშე მდგარი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების აუცი-ლებლობა.



სურ. 4. სოფ. ადლის სანაპიროები ახალი ბულვა-რის გაშენებამდე.

აუცილებელია აჭარის ტერიტორიაზე საშიმი გეოლოგიური პროცესების განვითარების ზონებში დროულად ჩატარდეს კომ-პლექსური, საინჟინრო-გეოლოგიური, გეოეკოლოგიური და ჰიდრომელიორაციული კვლევითი სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალში ეს პროცესები გამოიწვევენ გარემოს გეოეკოლოგიური ბალანსის შეუქცევად გაუარესებას და დღე-ვანდელი ლოკალური გეოდინამიკური პროცესები მიიღებენ რე-გიონული გავრცელების ხასიათს, რასაც მოჰყვება აჭარის ტე-რიტორიაზე ეკოსისტემების მთლიანი მოშლა, რის შედეგად მა-თი რაციონალური და მიზანმიმართული მართვის პროცესი სა-ხალხო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიზნებისათვის უმართა-ვი გახდება.

ნაზიზორულა ფვალაპუ, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ხანგრძლივი და მიძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნური ვერძაძე. პროფესორმა ნური ვერძაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უმაღლესი სკოლისა და ქართული მეცნიერების განვითარებაში. ღვაწლმოსილი მეცნიერი დაიბადა 1942 წლის 5 მარტს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ხელვაჩაურში. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ (1958) ერთხანს იმუშავა აჭარის წყალთა მეურნეობის სამმართველოში. 1959 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ ინჟინრის პროფესია მის მოწოდებად არ ჩათვალა და 1960 წელს შევიდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

მეორე კურსიდან გაცვლითი პროგრამით მიაღწინეს კიევის უნივერსიტეტში უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1967 წელს ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. წარუშლელი კვალი დატოვა თბილისის უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა ახალგაზრდა სპეციალისტისა და მკვლევრის ცნობიერებაზე. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა თბილისის უნივერსიტეტის ტრადიციების ერთგული. როგორც მეცნიერი და მასწავლებელი მისთვის მისაბაძი იყო აკად. ვარლამ თოფურია, პროფ. ივ. ქავთარაძე, პროფ. ივ. გიგინეიშვილი... ეამაყებოდა, რომ იყო ამ უნივერსიტეტის ალზრდელი.

1973 წელს ნური ვერძაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1972 წლიდან ნ. ვერძაძე მუშაობას იწყებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც სხვადასხვა დროს იყო:

— ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1971-1975 წწ).

— პრორექტორი იდეურ-ალმზრდელი მუშაობის დარგში (1975-1981 წწ).

— პრორექტორი საღამოსა და დაუსწრებელი მუშაობის დარგში (1981-1986 წწ).

— პრორექტორი სასწავლო დარგში (1986-1996 წწ).

— ზოგადი ფილოლოგიის კათედრის გამგე (1991-1996).

— რექტორი (1996-2004 წწ).  
— 1995 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1996 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ფართოა ნ. ვერძაძის სამეცნიერო ინტერესები: ქართულ-რუსულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობები, თარგმანის თეორია, ზოგადი ენათმეცნიერება, საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის — 6 წიგნი.

წლების განმავლობაში ნ. ვერძაძე კითხულობდა „ზოგადი ენათმეცნიერების“, „ენათმეცნიერების შესავლის“, „ქართული ენის სტილისტიკის“, „ახალი ქართული ენის“ კურსებს. მისი ლექციები გამოირჩეოდა აკადემიურობით, თავად ლექტორი კი იყო მომთხოვნი და ახალგაზრდობის მოყვარული. მისი რეკომენდაციითა და ხელმძღვანელობით მეცნიერებაში გაიკვლია გზა არაერთმა ახალგაზრდამ, რომლებიც, დღეს უკვე პროფესორები და წარმატებული მკვლევრები, მოღვაწეობენ ბათუმის უნივერსიტეტსა და სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში.

1996-2001 წლებში ნ. ვერძაძე აირჩიეს აჭარის უზენაესი საბჭოდ დეპუტატად, იყო უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. 2001 წელს აირჩიეს აჭარის არ პარლამენტის დეპუტატად, 1997 წლიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, 1998 წლიდან იყო აჭარის უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე; 2001 წელს აირჩიეს ევროპის საბჭოს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების თვითმმართველობის კონგრესის წევრად.

მისი ინიციატივითა და ძალისხმევით ბათუმის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა 2000-2004 წლებში. „ცენტრის“ სამეცნიერო პრიორიტეტად გამოიკვეთა ისტორიული სამხრეთ საქართველოს („ჭოროხის ქვეყნების“) პრობლემების კვლევა. მისი იდეალი იყო უახლოესი ისტორიიდან ილია ჭავჭავაძე და მემედ აბაშიძე. თავის ნაწერებში განსაკუთრებით ცდილობდა მათი ღვაწლის წარმოჩენას აჭარისა და სრულიად საქართველოს წინაშე.



1991 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის სტრუქტურული ფორმირების საქმეში დიდი ნ. ვერძაძის წვლილი. იგი არ იშურებდა ძალასა და ენერჯიას უნივერსიტეტის შემდგომი სრულყოფისათვის.

ნ. ვერძაძის მოღვაწეობაში ცალკე უნდა აღინიშნოს თანამოაზრეებთან ერთად „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ ჩამოყალიბება. იგი 1991-1996 წლებში, დაარსებიდან რეორგანიზაციამდე, დამოუკიდებელ უნივერსიტეტსაც ხელმძღვანელობდა. მის მუშაობაში ჩააბა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მოიწვია ახალგაზრდა სპეციალისტები, საფუძველი ჩაუყარა ბათუმში ახალ სპეციალობებს...

ნ. ვერძაძის, როგორც განათლებისა და მეცნიერების ორგანიზატორის ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა უნივერსიტეტის რექტორად მოღვაწეობის პერიოდში: შეიქმნა ახალი კათედრები და ფაკულტეტები, ბათუმში საფუძველი ჩაეყარა სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის, სამედიცინო, თურქული ფილოლოგიის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტებსა და სპეციალობებს, შეივსო და გამდიდრდა უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადა ფონდი, შეიქმნა უნივერსიტეტის გამომცემლობა,

ჩამოყალიბდა სტამბა, მისი დიდი ძალისხმევით შეკეთდა (ფაქტიურად ხელახლა აშენდა) უნივერსიტეტის ზღვისპირა (პირველი) კორპუსი, განახლდა მაღლივი კორპუსი, აშენდა ახალი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, უნივერსიტეტის კაბინეტები და აუდიტორიები აღიჭურვა ახალი ინვენტარით... ყოველივე ამან დიდი დრო და ენერჯია წაიღო. ბედნიერი იყო, როცა ხედავდა განახლებულ და რიცხობრივად და თვისობრივად გაზრდილ უნივერსიტეტს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მაღალმთიანი აჭარისა და გურიის სოფლებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადებას. მისი რექტორობის პერიოდში უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სპეციალური ჯგუფები ამ რეგიონის ახალგაზრდებისათვის.

მისი უნივერსიტეტის პრორექტორად და განსაკუთრებით რექტორად მუშაობის პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა ეროვნული დისციპლინების სწავლებას. მისი უშუალო ინიციატივით უნივერსიტეტში მოქმედ ყველა სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნა „ქართული ენის პრაქტიკული კურსი“, „ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსი“ და „საქართველოს ისტორია“.

ნური ვერძაძე იყო საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სხვა არაერთი დარგობრივი აკადემიის წევრი.

იგი იყო კარგი მეგობარი, უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი საკუთარი ოჯახის წევრად მიაჩნდა, ფიქრობდა და ზრუნავდა მათზე, ახარებდა ყველას წინსვლა...

მოღვაწეობის წლებში იყო წარმატებული და სიხარული, იყო გულისტკივილიც, მაგრამ ბატონი ნური ყოველთვის პოულობდა საკუთარ თავში ძალას და რჩებოდა უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საქმის ერთგულად. სიცოცხლის ბოლომდე მასთან ყოველი შეხვედრა და საუბარი სრულდებოდა უნივერსიტეტის პრობლემებზე მსჯელობით, „მოუარეთ უნივერსიტეტსო“, — გვარიგებდა დღემუდამ...

იგი დაგვიღობდა იყო ღირსების ორდენით.

ნური ვერძაძის, როგორც უმაღლესი სკოლის ორგანიზატორისა და მოღვაწის სახელი კუთვნილ ადგილს დაიჭერს უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლების ისტორიაში.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

## studentebma saqvel moqmedo koncerti Cvenc davberdebi T- Caatares



სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის I კურსის სტუდენტებმა წმიდა ეკატერინეს სახელობის სავანის მცხოვრებთა მხარდამჭერი საქველმოქმედო კონცერტი „ჩვენც დავბერდებით“ ჩაატარეს. კონცერტში ახალგაზრდებთან ერთად სავანის ანსამბლი „სათნოება“ მონაწილეობდა, სტუდენტებმა და მიუსაფრმა მოხუცებმა საგალობლები, ხალხური და ცნობილი ქართული სიმღერები შეასრულეს. საღამოზე ასევე წარმოდგენილი იყო

თავშესაფარის ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეოკოლაჟი.

საქველმოქმედო კონცერტი სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსის „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ ფარგლებში გაიმართა. საგანმანათლებლო პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ხორციელდება. ამავე პროგრამის ეგიდით, 2012 წლის 3 დეკემბერს, სტუდენტებმა ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრთან არსებული „დღის ცენტრის“ აღსაზრდელების დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარეს. საღამოს ორგანიზატორებმა შემოსული თანხით უნარშეზღუდულ მოზარდებს საჩუქრები გადასცეს და ერთი ბავშვის რეაბილიტაციის კურსი მთლიანად დააფინანსეს.

შპს „ბათუმის წყლის“ და ბათუმის მერიის საკონსულტაციო კომპანიის წამომადგენლები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგარაული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვედნენ და სანარმოო პრაქტიკის განხორციელების დეტალები



## saswavi o praqtika agrarul i da sainJinro teqnoL ogiebis fakul tetis studentebisaTvis

გააცნეს. პრაქტიკანტები კონსულტანტების დახმარებით რამდენიმე თვის განმავლობაში საინჟინრო პროექტირების, პროექტის განხორციელებისა და მშენებლობის ზედამხედველობის საკითხებს შეისწავლიან. სასწავლო პრაქტიკის მონაწილეები კონკურსის წესით შეარჩევიან, უპირატესობა III-IV კურსის კარგი აკადემიური მოსწრებისა და უცხო ენის მცოდნე სტუდენტებს მიენიჭებათ. პროექტი KfW-ის მხარდაჭერით ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბი-

ლიტაციისა და 516613-TEMPUS-1-2011-1-BE-TEMPUS-JPHES - University & enterprise cooperation for competency-based training in Armenia, Georgia and Ukraine.Cap4Com პროგრამების ფარგლებში ხორციელდება. პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა 15 თებერვლამდე ელექტრონულ მისამართზე: [lia.davitadze@macsonline.de](mailto:lia.davitadze@macsonline.de) უნდა გადაგზავნონ CV და აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ნომერზე: 27 61 72.

# ნახუჩანი ნიგნები

ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილმა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო კიკნაძემ სამეცნიერო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა მისი სახელმძღვანელო ნიგნი "ანალიზური ქიმია".

ანალიზური ქიმია ფუნდამენტალური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. დიდია ანალიზური ქიმიისა და ქიმიური ანალიზის როლი როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბიოლოგიის, ფიზიკის), აგრეთვე სხვა დარგების (მინერალოგიის, გეოლოგიის, გეოქიმიის, აგროქიმიის, გეოგრაფიის, მედიცინის) განვითარებაში. ანალიზური ქიმიის თანამედროვე ინსტრუმენტული და ექსპრესიული მეთოდების გამოყენებით დგინდება ზემოაღნიშნულ დარგებში საანალიზო მასალის შედგენილობა და სტრუქტურა.

დღეისათვის ანალიზური ქიმიის მეთოდები ფართოდაა დანერგილი და აპრობირებული სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, წარმოებაში, კოსმოსურ კვლევებსა და გარემოს დაცვაში. წარმოდგენილია ქიმიური, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის და სხვა რომელიმე დარგის წარმოება, რომელთაც ნედლეულთან

და სხვადასხვა მასალებთან აქვთ საქმე წარმოების ქიმიური კონტროლის გარეშე, რადგანაც სწორედ ქიმიური ანალიზის მეშვეობით მზადდება მაღალი სისუფთავის პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

ნიგნზე მუშაობისას ავტორი მიზნად ისახავდა ანალიზური ქიმიის თეორიული საფუძვლების, ქიმიური ანალიზის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების თავმოყრას და გაცნობას სტუდენტებისა და ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის, რომლებიც აუცილებელია ქიმიური კონტროლისათვის და ხელს შეუწყობს ანალიტიკოსს პროფესიონალ სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავების საპასუხისმგებლო საქმეში. ნიგნში თანმიმდევრულად და მაღალ დონეზე არის განხილული ანალიზური ქიმიის ფიზიკური, ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები და მათი გამოყენების სფეროები.

ნიგნი შედგება 3 ნაწილისა და 23 თავისგან, რომლებშიც საფუძვლიანადაა გაშუქებული ანალიზური ქიმიის პრინციპული საკითხები, კერძოდ:


I ნაწილში გაშუქებულია შემდეგი სა-

კითხები: ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება; ქიმიური რეაქციების მგრძობიარობა და ხსნარში იონთა აღმოჩენის პირობები; ნიმუშის დაშლისა და ნივთიერების აღმოჩენის მეთოდები; მოქმედ მასათა კანონი (მმკ), როგორც თვისებითი ანალიზის საფუძველი;

II ნაწილში განხილულია კათიონთა მჟავურ-ტუტოვანი სისტემა; წყლის იონური ნამრავლი; ბუფერული სისტემები; მოქმედ მასათა კანონი და ჰეტეროგენული სისტემები; თანამედროვე წარმოდგენები მჟავებსა და ფუძეებზე ბრენსტედ-ლოურის პროტოლიტური თეორიის საფუძველზე;

III ნაწილი მოიცავს რაოდენობითი ანალიზის თეორიულ საფუძვლებს, მისი ჩატარების პირობებს და ოპერაციებს; რაოდენობითი ანალიზის ქიმიურ, ფიზიკურ და ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს; კლასიკური ქიმიური მეთოდების პარალელურად, აღწერილია თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდები: ელექტროქიმიური, ფოტომეტრიული, ატომურ-აბსორბციული, ქრომატოგრაფიული.

ნინო კიკნაძის ნიგნი „ანალიზური ქიმია“ წარმოადგენს კლასიკური და თანა-



მედროვე მეთოდებით ანალიზური ქიმიის მნიშვნელობის გაშუქების ლიტერატურულ წყაროს. ნიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების როგორც ქიმიის სპეციალობის, ასევე საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, აგარარული, საინჟინრო-ტექნოლოგიური დარგის სტუდენტებისთვის, იგი აგრეთვე მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ამ სფეროებში მოღვაწე სპეციალისტების ფართო წრისათვის.

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო ზაალ ქორთუას ნიგნი, „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (ოდიშის სამთავრო XVI I ს. პირველ ნახევარში ურთიერთობა ოსმალეთთან, სპარსეთთან და ევროპასთან).“ მკვლევარი ნაშრომში, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის საფუძველზე აკონკრეტებს ოდიშის მთავრის — ლევან II დადიანის მიერ გატარებულ რეფორმებს, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკური ცხოვრების დარგში, რითაც შესაძლებელი გახდა ოდიშის სამთავროს გაძლიერება-განმტკიცება დასავლეთ საქართველოში, კულტურის ცენტრის გადმონაცვლება ისტორიულ სამეგრელოში. ოდიშის სამთავრომ გამაერთიანებლის



როლი შეასრულა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიაში. დაქუცმაცებული საქართველოს არსებობის პირობებში ლევან II დადიანმა ორმაგი დიპლომატიის გზით შეძლო მტრის მტერთან დაპირისპირება. ევროპული ცივილიზაციის შემოღობვის გზაზე მყოფმა საქართველომ რთული პერიოდი გადაიტანა და შეძლო ფეხზე დადგომა. 1555 წლის სამარცხვინო ზავი დღესაც განაგრძობს არსებობას „მტრის“ აზროვნებაში.

ავტორი არსებული ისტორიული წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე აკონკრეტებს ისტორიულ პიროვნებათა სახელებს.

მკვლევარი ნაშრომის 144-ე გვერდზე აღნიშნავს, რომ წყაროების ნაკლებობის ან კიდევ უქონლობის გამო ძნელია ნახევარსაუკუნოვან მონაკვეთში ზუსტად განისაზღვროს დასავლეთი საქართველოს თითოეული სამეფო-სამთავროს საგარეო პოლიტიკური კურსი, მაგრამ ძირითადად შეიძლება ითქვას შემდეგი: დასავლეთი საქართველოს საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებით საინტერესო კურსის გამტარებელი ოდიშის სამთავრო და მისი ხელისუფალი ლევან II დადიანი იყო. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის არსებული ისტორიული წყაროები მნიშვნელო-

ვან ცნობებს გვანჯიან იმერეთისა და გურიის სამეფო-სამთავროთა მესვეურების მიერ წარმოებული საგარეო საქმიანობის შესახებ. სწორედ იმერეთმა შეიკვდლა ქართველი მეფე თეიმურაზ II და ირანის შაჰი დადიანის მეშვეობით ცდილობდა მასთან ერთად იმერეთის ხელში ჩაგდებას.

მკვლევარი სავსებით სამართლიანად აკონკრეტებს ევროპელი მისიონერების საქმიანობას, როგორც პოლიტიკურ ისე კულტურულ სფეროში. მათ დადებითი როლი ითამაშეს ტყვეთა სყიდვის საქმეში. თუმცა უდიდესია ლევან II დადიანის დამსახურება ქართული კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მისი სპარსული გადაგვარებისგან დაცვაში.




გამოიწა ქართულ ხელნაწერთა ნიგნი-ალბომი. მასში შესულია V-XI საუკუნეების ქართული ხელნაწერი ნიგნების და საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ცენტრებში (სინის მთა, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო) არსებულ ხელნაწერთა კოლექციების ფოტოასლები. ალბომში შედგება ოთხი თავისაგან. ნიგნში წარმოდგენილი ფოტოები ანოტირებულია და მასში თავმოყრილი მასალა ინფორმაციული ხასიათისაა. განსაკუთრებით საინტერესოდ იკითხება ინფორმაცია სანერი მასალისა და ნიგნის ყდის შედგენილობის შესახებ. ნიგნს თან ერთვის ქართულ ხელნაწერთა შექმნისა და გადანაცვლების რუქა (V-XVII სს).

ასევე ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული XV-XVI სს-ის ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან. ხელნაწერი შინაარსით ლიტურგიკული კრებულია. ტექსტი მოიცავს სახარებისეულ საკითხავებს, ტროპარებს, სავედრებელ ლოცვებს და სხვადასხვა შინაარსის მიმონევას. ანალოგიური ხასიათისაა სამედიცინო ეპიგრამები, რომელშიც აღწერილია და დახასიათებულია ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო ან სასარგებლო თვეები.



ს ხელნაწერის შესახებ 1883 წელს პირველ ცნობას გვანჯიანის ფილმურ ნაშრომში „კავკასიის ხელოვნება“. ფართო დეკლარაცია ნაშრომში „La messe“ გამოაქვეყნა გრიგორი გაგარინის მიერ შესრულებული ორი მინიატურის ასლი. ეს ის გაგარინია, რომელმაც უარი თქვა დაეხატა რეაქციონერი მინისტრის — კატკოვის სურათი, რომელმაც შეურაცხყო ქართული ეროვნული დროშა.



ასევე ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა და მოქვის სახარება.

გვერდი მოამზადა მირაზ მებრალიშვილმა

რედაქტორი: იოსებ სანიკია  
სამხარული: ნესტან გავუჭაია



სარედაქციო კოლეჯია:  
ნანა მახსარიანი  
ნინო მახსარიანი  
ნათია ნიქაშვილი  
ნინო ფოქია  
მარგალიტა გოგოშვილი  
დავით პარპალიანი  
მარგალიტა გოგოშვილი  
ნინო მახსარიანი  
ნინო მახსარიანი

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“  
2 18 07 76; 5 99 95 31 90  
მის.: ქ. თბილისი, რობაქიძის 7